პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

შაბათი, 30 დეკემბერი, 1950 წ. № 293 (8853). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

საარჩევნო კომისიები — მოწინავე (1-ლი გვერდი).
სოციალისტური შეჯიბრება არჩევნების აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკური შესრულებისათვის (მე-2 გვერდი).
ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეცამეტე ტომი (მე-2, მე-3 და მე-4 გვერდი).
მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის (მე-2 გვერდი).
მექანიკოს იროდიონ ნიკოლაიშვილის გამოცდილება—მსუბუქი მრეწველობის ყველა საწარმოს (მე-3 გვერდი).
საფრანგეთის კომუნისტური პარტიის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება პარიზში (მე-3 და მე-4 გვერდი).
ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს ბრძანება (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
მშვიდობისათვის, გერმანიის ერთიანობისათვის! (მე-4 გვერდი).

# საარჩევნო კომისიები

მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის თანდათან ჩაღდება. უკვე შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია, შექმნილია საარჩევნო ოლქები და საოლქო საარჩევნო კომისიები. უახლოეს ხანებში შეიქმნება საარჩევნო უბნები და საუბნო საარჩევნო კომისიები.

როგორც წარსული არჩევნების გამოცდილებიდან ვიცით, არჩევნებისათვის მზადებასა და ჩატარებაში განსაკუთრებული როლის შესრულება ეკისრებათ საარჩევნო კომისიებს.

საბჭოთა საარჩევნო კანონის თანახმად, ყველა საარჩევნო კომისია—ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან საუბნო საარჩევნო კომისიამდე, შედგება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების, აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა, სამხედრო მოსამსახურეთა, კოლმეურნეობებსა და სოფლებში გამართული გლეხთა კრებების წარმომადგენლებისაგან. ამრიგად, კომისიები იქმნება ხალხის წარმომადგენლებისაგან. თავისი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კრებების მეშვეობით თვითონ ხალხი წყვეტს საკითხს, ვის მიანდოს არჩევნების მთელი ორგანიზაცია და საარჩევნო კანონის განხორციელებისადმი მტკიცე კონტროლი.

დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ მიანიჭა ჩვენს ხალხს ასეთი უფლებები. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ ყოფილა, არ არის და არც შეიძლება იყოს ამის მსგავსი რამ. პირიქით, კაპიტალისტურ ქვეყნებში შემოღებულია ისეთი წესი, როდესაც არჩევნებისადმი ყოველგვარი ხელმძღვანელობა ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის მოხელეთა მეშვეობით, მშრომელთა მასების წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე.

ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ყოველი არჩევნების დროს საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა მასები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უდგებიან საარჩევნო კომისიების შექმნას. ასე იყო წელს ჩატარებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროს; ასეა ახლაც, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში.

საქართველოს მშრომელებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში დაასახელეს სამშობლოსათვის, ლენინ-სტალინის საქმისათვის უსაზღვროდ ერთგული, ავტორიტეტული, ხალხისათვის კარგად ცნობილი მოწინავე ადამიანები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ერთგული შრომით და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით. მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მშრომელებმა წარგზავნეს თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის სტახანოველი მუშა პ. მუხიგულაშვილი, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი ა. ჩიქობავა, ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი ხ. ვასაძე, ცნობილი ქართველი მწერალი ი. მოსაშვილი, საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცებისათვის დაუღალავი მებრძოლი მ. პლიევა და სხვები. საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ხალხის მიერ დასახელებულ ადამიანთა შორის არიან კომუნიზმის საქმისათვის დაუღალავი მებრძოლები: თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ტროლეიბუსის სახელოსნოს სტახანოველი ზეინკალი ლიდა მამულაშვილი, ქალაქ ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მთავარი ინჟინერი დავით გურგენიძე, გორის რაიონის სოფელ ზერტის წარჩინებული კოლმეურნე, გმირი დედა ქეთევან ზუბიაშვილი, ქალაქ გორის საკონსერვო ქარხნის სტახანოველი მუშები ქუქუნა ბერიძე და თამარ მაჭარაშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლები მარიამ თავდგირიძე და ილია კაპანაძე, მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი სევერიან მუხაშავრია და მრავალი სხვა მოწინავე ადამიანი.

საჭიროა ასეთივე გულმოდგინებითა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მივუდგეთ საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში კანდიდატთა შერჩევას, როდესაც საარჩევნო დებულების თანახმად დაიწყება ამ კომისიების შექმნა.

საარჩევნო კომისიები მოვალენი არიან თავიანთ ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებდნენ არჩევნების მსვლელობაში „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" განუხრელად შესრულებას, ხოლო არჩევნების დებულება — ეს ხომ კანონია, რომლის თვითეული მუხლის ზუსტად შესრულება უზრუნველყოფს არჩევნების უნაკლოდ ჩატარებას! ხალხი იმიტომ გზავნის თავის წარმომადგენლებს საარჩევნო კომისიებში, რომ მათ მთელი პასუხისმგებლობით იბრძოლონ, რათა საბჭოთა სახელმწიფოს საარჩევნო კანონი ხორციელდებოდეს მტკიცედ და განუხრელად, რომ თვითეული ამომრჩევლისათვის უზრუნველყოფილ იქნას პირობები — შეუფერხებლად განახორციელოს თავისი დიადი დემოკრატიული უფლება.

მ. ი. კალინინი აღნიშნავდა, რომ საუბნო საარჩევნო კომისია „პირდაპირ ხვდება უშუალოდ ამომრჩეველთა მასებს და ამიტომ მის მოწყობასა და პირად შერჩევას საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა საზოგადოებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ". საუბნო საარჩევნო კომისიას დიდი და მეტად პასუხსაგები მოვალეობა ეკისრება. საუბნო საარჩევნო კომისიის, ისევე როგორც ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიათა მოვალეობა განსაზღვრულია არჩევნების დებულებით, რითაც მათ მტკიცედ უნდა იხელმძღვანელონ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები სერიოზული მნიშვნელობის პოლიტიკური კამპანიაა, რომელიც დიდ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მუშაობას მოითხოვს. სტალინური კონსტიტუცია ყოველგვარ შესაძლებლობას ქმნის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარებისათვის. დიდი იყო ქართველი ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტივობა წინა არჩევნებში. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნები უფრო მეტად განამტკიცებს ჩვენს წარმატებებს, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონით დაწესებული ტვირთბრუნვისა და დატვირთვის 1950 წლის დავალება რკინიგზის ტრანსპორტმა ვადამდე შეასრულა.

სსრ კავშირის გზათა მინისტრი ბ. ბეშჩევი

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს ორ სამინისტროდ გაყოფის შესახებ

1. სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრო გაიყოს ორ სამინისტროდ:

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროდ;

სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროდ.

2. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს გადაეცეთ საწარმოები და ორგანიზაციები, თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1950 წლის 28 დეკემბერი.

## დამთავრდა გაზეთ „ისკრის" გამოსვლის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

28 დეკემბერს დამთავრდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა გაზეთ „ისკრის" გამოსვლის 50-ე წლისთავს. სესია ორ დღეს გრძელდებოდა.

გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა სამი მოხსენება: მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალის დირექტორის პ. ს. ეფენდიევისა — „ლენინური „ისკრა" და ბაქოს და აზერბაიჯანის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები", მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის შ. ი. ჩივაძისა — „ლენინური „ისკრა" და სტალინური „ბრძოლა", ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ტ. ვ. შეპელევასი — „ისკრის" გამოცემა და გავრცელება".

დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი აგრეთვე ცნობები: „ისკრის" ერთ-ერთი აგენტის, ამჟამად მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ც. ს. ზელიქსონ-ბობროვსკაიასი — „ისკრის" ტრანსპორტირების შესახებ და მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ლიტვის ფილიალის დირექტორის რ. ი. შარმაიტისა—ლიტვაში „ისკრის" გავრცელების შესახებ.

სესიის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ლენინის საქმის დიდი განმგრძობის — ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. (საკდესი).

## საბჭოთა კომპოზიტორების ახალ ნაწარმოებთა განხილვა

სსრ კავშირის საბჭოთა კომპოზიტორების კავშირში 28 დეკემბერს დაიწყო საბჭოთა კომპოზიტორების 1950 წელს შექმნილ ახალ ნაწარმოებთა შემოქმედებითი განხილვა. ეს ნაწარმოებნი ამას წინათ შესრულებულ იქნა მოსკოვში საბჭოთა მუსიკის დათვალიერებაზე.

დათვალიერების კონცერტებში დიდი ადგილი დაიკავა სიმფონიებმა, კანტატებმა და ორატორიებმა. მთელი რიგი ნაწარმოებნი მიეძღვნა ამხანაგ ი. ბ. სტალინის, მშვიდობისათვის ბრძოლის თემებს, კომუნიზმის დიად მშენებლობებს.

დათვალიერებაზე აჩვენეს მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ლიტვისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კომპოზიტორთა შემოქმედება. საშუალო და უფროსი თაობის ოსტატთა ნაწარმოებებთან ერთად ფართოდ იქნა წარმოდგენილი ახალგაზრდა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

შემოქმედებით განხილვაში მონაწილეობას იღებენ კომპოზიტორები, მუსიკისმცოდნეები და მოსკოვის მუსიკალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. (საკდესი).

## სოციალისტური შეჯიბრება არჩევნების აღსანიშნავად

### მარგანეცი წლიური გეგმის გადამეტებით

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა 16 დეკემბერს შეასრულა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების წლიური გეგმა და ახლა მარგანეცს იძლევა 1951 წლის ანგარიშში.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ დიმიტროვის, სტალინის, ორჯონიკიძისა და ლენინის სახელობის მაღაროები. მარგანეცს გეგმის გადამეტებით იღებენ ის უბნები, რომლებსაც ი. წერეთელი, კ. სებისკვერიძე, მ. გორგაძე, ი. ფხალაძე, შ. გაფრინდაშვილი, მ. კენჭოშვილი, ვ. სიკინჭილაშვილი, ლ. ღუღუნიშვილი და სხვ. ხელმძღვანელობენ. გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ აგრეთვე მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკები, რომლებსაც ინჟინრები არ. ნიკოლაძე, ა. გაბეჩავა, ვ. საღინაძე, ბ. ჩხიკვაძე და ირ. კაკაბაძე განაგებენ.

ჭიათურაში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება, რათა წარმატებით შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს — 18 თებერვალს. ბევრი მაღარო, ფაბრიკა, უბანი, ცვლა აქედანვე იბრძვის მომავალი წლის იანვარ-თებერვლის გეგმის 18 თებერვლისათვის შესასრულებლად. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პ. ბოყოველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტრ. ფოფხაძე, საქალაქო საბჭოს დეპუტატები პ. მიროტაძე, კ. გაფრინდაშვილი, ა. ჯავახიშვილი, სტახანოველები კ. ლავთაძე, ს. ოთინაშვილი, ა. ძინძიბაძე და სხვები ცვლაში ორ ნორმას ასრულებენ.

### მეორთქლმავლეთა ვალდებულებანი

ხაშური. (საკ. კორ.). საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი ჩაება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში და იკისრა 18 თებერვლისათვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულოს ორთქლმავლების გარეცხვითი შეკეთების ორი თვის გეგმა, 2 საათით შეამციროს შეკეთებაში ორთქლმავლის დგომის დრო, შრომის ნაყოფიერების გაზრდით, შეკეთების თვითღირებულების შემცირებით და საწვავის დაზოგვით მიაღწიოს 30 ათასი მანეთის ზეგეგმით დაგროვებას.

ლუნინელმა მემანქანემ დ. კაპანაძემ იკისრა იმუშაოს უწუნოდ და უავარიოდ, სისტემატურად ატაროს მძიმე წონის მატარებელი, გეგმის გადამეტებით გადაზიდოს ოთხი ათასი ტონა ტვირთი და დაზოგოს საწვავის 5 პროცენტი.

სამგზავრო მატარებლის მემანქანეებმა დ. გერმანაშვილმა და გ. ცერცვაძემ გადაწყვიტეს 40 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ მატარებლის გარბენის იანვარ-თებერვლის გეგმა და დაზოგონ საწვავის 4 პროცენტი.

### მქსოველები აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მზადების დაწყებისათვის თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის მრავალმა სამკერვალო აგრეგატმა წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ც. ლეკიშვილის, თ. ლომაშვილის, თ. ჯიშელაძის, ზ. თვალაძის აგრეგატები კარგა ხანია მომავალი წლის ანგარიშში უშვებენ პროდუქციას.

ბოლო დღეებში დიდად დაწინაურდა მკერავი ს. აბულაძე, რომელიც სისტემატურად დღენახევრის ნორმას ასრულებს. მან თავისი მუშაობის მეთოდები შეასწავლა ახალმოსულ შ. მიქაელიანს, რომელმაც აამაღლა ხარისხი და შეამჭიდროვა კერვის დრო. ასევე წარმატებით შეასწავლა სხვებს მუშაობის საკუთარი ხერხები სტახანოველმა ო. შენგელიამ. მისმა მოწაფეებმა — თ. მიხაილოვსკაიამ, ა. აივაზოვამ საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობის ხარისხი.

დეკემბერში უკეთესად მუშაობენ მკერავები ნ. პირადაშვილი, მ. გოდიშვილი, ფ. ჭელიძე, ს. დალაქიშვილი და სხვ. შეჯიბრების ახალი ძალით გაჩაღების შედეგად ფაბრიკის კოლექტივი ყოველდღიურ საგეგმო დავალებას გადაჭარბებით ასრულებს და გეგმის გადამეტებით პირველხარისხოვან პროდუქციას უშვებს.

### მახარაძელთა წარმატება

მახარაძე, (საკ. კორ.). აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა პირნათლად გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება. ვადაზე 17 დღით ადრე შეასრულა აბრეშუმის ხამი ძაფის ამოხვევისა და ნაგრეხი ძაფის გამოშვების წლიური დავალება, სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 2.565.300 მანეთის პროდუქცია, თითქმის ერთიორად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, პირველი და მეორე ხარისხის პროდუქციის გამოშვება 80 პროცენტამდე გაზარდა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 41 პროცენტისა და შესაბამისად შეამცირა მესამე ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა საგრეხმა საამქრომ, რომელმაც 1.474 კილოგრამით მეტი ნაგრეხი ძაფი გამოუშვა. ასევე კარგად იმუშავა ძაფსაღებ საამქროს კოლექტივმა. ამ უკანასკნელმა გეგმის გადამეტებით ამოახვია 130 კილოგრამი აბრეშუმის ხამი ძაფი და დაზოგა 5.361 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში ფაბრიკაში კიდევ უფრო გაიზარდა შრომითი აქტივობა. ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე 3.700 კილოგრამი აბრეშუმის ხამი ძაფი და 3.000 კილოგრამი ნაგრეხი ძაფი გამოუშვას.

## ტირიფონის ჰიდროელექტროსადგური ამუშავებულია

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი ამხ. ყუჯიაშვილი, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კეჩხუაშვილი, ტრესტ „საქსოფლელექტროს" მმართველი ამხ. თევოსიანი და ტირიფონჰესის მშენებლობის უფროსი ამხ. ალიბეგაშვილი იტყობინებიან, რომ მშენებლობის კოლექტივმა და გორის რაიონის კოლმეურნეებმა 27 დეკემბრისათვის დაამთავრეს ტირიფონჰესის მშენებლობის ძირითადი სამუშაოები.

აგრეგატების გამოცდამ კარგი შედეგი მოგვცა, 15 კოლმეურნეობას მიეცა პირველი დენი. გრძელდება სამუშაოები კოლმეურნეობათა ელექტროფიკაციისათვის.

## საქართველოს საკონსერვო მრეწველობამ შეასრულა წლიური გეგმა

საქართველოს საკონსერვო ტრესტის მმართველი ამხ. ი. წიკლაური აცნობებს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომ საქართველოს კონსერვტრესტმა 28 დეკემბრისათვის შეასრულა წლიური საწარმოო გეგმა როგორც ნატურალური, ისე საერთო პროდუქციის გამოშვების მხრივ.

ბოსტნეულის კონსერვის გამოშვების გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით, ტომატის გამოშვებისა — 122 პროცენტით, კომპოტისა—112 პროცენტით, მურაბისა — 102 პროცენტით.

ტრესტის საწარმოთა კოლექტივები დიდი აღმავლობით აღნიშნავენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას და წლის ბოლომდე ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცემენ რამდენიმე ასეულ ათას ქილა კონსერვს.

## ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეთოთხმეტე ტომი

გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეთოთხმეტე ტომი, რომელიც დასაბეჭდად მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა.

ოცდამეთოთხმეტე და ოცდამეთხუთმეტე ტომები, რომლებითაც მთავრდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემა, — ნათქვამია წინასიტყვაობაში, — შეიცავენ ვ. ი. ლენინის მიწერ-მოწერას ორგანიზაციებთან და პირებთან — წერილებს, დეპეშებსა და ბარათებს—1895 წლიდან 1922 წლამდე. ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი: წიგნები, ბროშურები, სტატიები, მოხსენებები, სიტყვები, რეზოლუციები, წერილები ი. ბ. სტალინისადმი, აგრეთვე სხვა წერილები, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ, შეტანილია წინა ოცდაცამეტ ტომში.

ოცდამეთოთხმეტე და ოცდამეთხუთმეტე ტომებში შეტანილი დოკუმენტები შეადგენენ ლენინის მიწერ-მოწერის მნიშვნელოვან ნაწილს და წარმოადგენენ თხზულებათა წინანდელ ტომებში დაბეჭდილ ლენინის ნაწარმოებთა უძვირფასეს დამატებას. ამ დოკუმენტებში ასახულია ლენინის უდიდესი ყოველმხრივი მოღვაწეობა ბოლშევიკური პარტიის, ახალი ტიპის პარტიის შესაქმნელად, მისი შეურიგებელი ბრძოლა ყველა ჯურის ოპორტუნისტებთან, ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, ხელმძღვანელობა მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოსადმი.

ოცდამეთოთხმეტე ტომში შედის ვ. ი. ლენინის მიერ 1895 წლის ნოემბრიდან 1911 წლის ნოემბრამდე დაწერილი წერილები.

1895-1901 წლების წერილები ასახავენ ლენინის მოღვაწეობას რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შესაქმნელად, მის ბრძოლას ნაროდნიკობის, „ლეგალური მარქსიზმის", „ეკონომიზმის" წინააღმდეგ. ტომში მოთავსებული წერილები გ. ვ. პლეხანოვისადმი, ლ. მ. კნიპოვიჩისადმი, ნ. ე. ბაუმანისა და სხვებისადმი გვიჩვენებენ, თუ როგორ ხორციელდებოდა რევოლუციური მარქსისტების პირველი საერთო-რუსული გაზეთის—„ისკრის" შექმნის ლენინური გეგმა. ეს წერილები აგრეთვე ცხადყოფენ ლენინის ხელმძღვანელ როლს „ისკრაში", მის ბრძოლას ამ გაზეთის რედაქციის შიგნით.

ტომის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ 1901-1904 წლების წერილები. ამ პერიოდის იმ წერილების ჯგუფი, რომლებიც გაგზავნილია გ. ვ. პლეხანოვისათვის, მიძღვნილია პროლეტარული პარტიის რევოლუციური პროგრამის შექმნის საკითხებისადმი, ადგილობრივ კომიტეტებთან — ხარკოვისა და ნიჟნი ნოვგოროდის კომიტეტებთან, პეტერბურგის ორგანიზაციასთან (წერილი ი. ვ. ბაბუშკინისადმი და სხვ.) პარტიის II ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტთან მიწერ-მოწერაში ლენინი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს მოუწოდებს დაირაზმონ „ისკრის" საპროგრამო და ორგანიზაციული პრინციპების საფუძველზე, იძლევა კონკრეტულ მითითებებს პარტიული მუშაობის გაჩაღებისა და პარტიის ყრილობის მომზადების შესახებ. პარტიის II ყრილობის შემდეგ დაწერილ მთელ რიგ წერილებში ლენინი ამხილებს მენშევიკების გამთიშველ საქმიანობას, იწვევს შეურიგებელ ბრძოლას ზოგიერთი გაზრწნილი ბოლშევიკის წინააღმდეგ (კრასინი, ნოსკოვი, გალპერინი), რომლებიც მენშევიკების მხარეზე გადავიდნენ და ხელს უწყობდნენ მენშევიკებს მათ მიერ ცენტრალურ კომიტეტში უმრავლესობის მოპოვებაში. ასეთია წერილები: ცენტრალური კომიტეტისადმი, ციმბირის კომიტეტისადმი, ნ. ე. ვილონოვისადმი, ა. მ. სტოპანისადმი, რ. ს. ზემლიაჩკასადმი და სხვ.

ტომში მოთავსებული წერილები კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი ასახავენ ლენინის ხელმძღვანელობას კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისადმი, რომლებსაც ამხანაგი სტალინი მეთაურობდა.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდის (1905-1907 წლების) წერილები ასახავენ ლენინის ბრძოლას პარტიის III ყრილობის მოწვევისა და მის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ბოლშევიზმის ტაქტიკური პრინციპებისათვის. ამ წერილების რიცხვს ეკუთვნიან წერილები ცენტრალური კომიტეტისადმი, ს. ი. გუსევისადმი, რ. ს. ზემლიაჩკასადმი და სხვ.

სტოლიპინის რეაქციის პერიოდის მიწერ-მოწერა გვიჩვენებს ლენინის ბრძოლას ლიკვიდატორობის, ტროცკიზმის, ოტზოვიზმ-ულტიმატიზმის, შემარიგებლობის წინააღმდეგ, რევოლუციური მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლების დამახინჯების წინააღმდეგ. ტომში იბეჭდება წერილი გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" რედაქციისადმი, რომელშიც ლენინმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა ტროცკი როგორც უსაზიზღრესი კარიერისტი და ფრაქციონერი. ტომში დაბეჭდილ მთელ რიგ წერილებში მხილებული არიან საერთაშორისო რევიზიონისტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ რუს ოპორტუნისტ-მენშევიკებს.

ვ. ი. ლენინის 1908-1911 წლების მიწერ-მოწერაში დიდი ადგილი უკავია წერილებს ა. მ. გორკისადმი.

ოცდამეთოთხმეტე ტომში შეტანილი წერილები ცხადყოფენ ლენინის ბრძოლას მარქსისტული რევოლუციური პარტიის შექმნისათვის, პარტიული ძალების დარაზმვისათვის, დამოუკიდებელ პარტიად, ახალი ტიპის პარტიად, ლენინიზმის პარტიად, ბოლშევიკურ პარტიად ბოლშევიკთა ჩამოყალიბებისათვის, რაც დამთავრდა 1912 წლის იანვარში პრაღის კონფერენციის მოწვევით.

ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად შევიდა შემდეგი წერილები, რომლებიც წინათ დაბეჭდილი იყო სხვადასხვა გამოცემაში: 1904 წლის 26 თებერვლის წერილი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქციისადმი; მ. კ. ვლადიმიროვისადმი 1904 წლის 15 აგვისტოს თარიღით; კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი 1904 წლის 20 დეკემბრის თარიღით; რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პეტერბურგის ორგანიზაციისადმი, 1904 წლის ოქტომბერი-დეკემბერი; წერილი ამხანაგებისადმი რუსეთში, 1905 წლის 6 იანვარი; ხუთი წერილი ა. ვ. ლუნაჩარსკისადმი, 1905, 1907 და 1908 წწ.; ა. მ. გორკისადმი, 1908 წლის 7 თებერვალი; პ. იუშკევიჩისადმი, 1908 წლის 10 ნოემბერი; ორი წერილი ა. ი. ლიუბიმოვისადმი — 1909 წლის აგვისტო და სექტემბერი; წერილი გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" რედაქციისადმი, 1909 წლის 24 აგვისტო; „დერჟატელებისადმი" წერილის მონახაზი, 1910 წლის თებერვალი-მარტი; ნ. გ. პოლეტაევისადმი 1910 წლის 7 დეკემბერი; ა. რიკოვისადმი 1911 წლის 25 თებერვალი.

ამ ტომში პირველად ქვეყნდება 1902 წლის 24 ივლისის წერილი გ. დ. ლეიტეიზენისადმი, რომელშიც ლენინი აღნიშნავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დარაზმვას „ისკრის" გარშემო.

* * *

34-ე და 35-ე ტომებში შესული წერილები დალაგებულია ქრონოლოგიური რიგით; რუსეთიდან გაგზავნილი წერილები დათარიღებულია ძველი სტილით, უცხოეთიდან გაგზავნილები კი —ახალი სტილით. ლენინის მიერ დათარიღებულ წერილებში თარიღების განლაგება და დამწერლობა დაცულია ხელნაწერის მიხედვით. იმ შემთხვევებში, როცა ლენინის ხელნაწერებში თარიღი არ არის, იგი მოცემულია რედაქციის მიერ წერილის ბოლოს. თვითეული წერილისათვის აღნიშნულია რიგითი ნომერი, ვის და სად გაეგზავნა წერილი, დაწერის თარიღი და გამგზავნის მისამართი.

გარდა მოკლე შენიშვნებისა, წერილთა ტომებში მოთავსებულია იმ ფსევდონიმების, ზედმეტი სახელებისა და ინიციალების გაშიფრვის ალფა-ბეტური საძიებლები, რომლებიც წერილების ტექსტში გვხვდება. (საკდესი).

# საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკური შესრულებისათვის

### გარეუბნის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე

თბილისის გარეუბნის რაიონის პარტიული აქტივის კრებამ განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შედეგები. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. ზამბახიძემ.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონში ნათესი ფართობი წლითიწლობით დიდდება. მაგალითად, 1950 წლის შემოდგომაზე კოლმეურნეობებმა დათესეს 11.251 ჰექტარი ხორბალი და სხვა თავთავიანი კულტურები ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.150 ჰექტარისა. ბევრი კოლმეურნეობისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პარტიული ორგანიზაცია ამჟამად ზუსტად ასრულებს აგროტექნიკის მოთხოვნებს. ამ შემოდგომაზე მათ დიდი ყურადღება მიაქციეს მწკრივად და ჯვარედინად თესვას, უზრუნველყვეს მისი დროზე დამთავრება, მინდვრებში გაიტანეს არა მარტო ორგანული, არამედ მინერალური სასუქებიც.

მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებს (ათს 28-დან) ჯერ კიდევ არ შეუსრულებია მზრალად ხვნის გეგმა. ამ კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებს არ განუმარტავთ კოლმეურნეებისათვის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, არ დაურაზმავთ ისინი მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის საბრძოლველად.

ამხ. ზამბახიძე დაწვრილებით შეჩერდა სარწყავი მიწების შემდგომი გაფართოების, არსებული სარწყავი ქსელის უკეთ გამოყენების საკითხებზე. პარტიული აქტივის კრებამ დიდი ინტერესით მოისმინა მომხსენებლის ცნობა სამგორმშენის მიერ გეგმის შესრულების შესახებ.

ამხ. ზამბახიძემ ილაპარაკა სამგორწყალმშენის ყველა უბანზე სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის დონის სისტემატური ამაღლების შესახებ და უსაყვედურა უბნების ხელმძღვანელებს, რომ სრულად არ იყენებენ მექანიზმებს. სამშენებლო უბნების პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი ამ დარგში, გააუმჯობესონ პარტიულ-პოლიტიკური და კულტურულ-მასობრივი მუშაობა მშენებელთა შორის, მეტი ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდა კადრების მომზადებას.

უახლოეს წლებში განუხრელად გაიზრდება არა მარტო მინდვრის სამუშაოთა, არამედ აგრეთვე მეცხოველეობის მრავალი დარგის მექანიზაცია. ეს იწვევს იმის საჭიროებას, რომ თანდათანობით შემცირდეს რაიონის კოლმეურნეობებში მუშა-პირუტყვის რაოდენობა და გადიდდეს პროდუქტიული პირუტყვის სულადობა, შემდგომ გადიდდეს ძროხების წველადობა, ხორცის, მატყლისა და სხვა პროდუქტების გამოსავლიანობა.

ძროხისა და ცხვრის წველადობა რაიონის კოლმეურნეობებში წლითიწლობით მატულობს. მაგრამ ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება, ვინაიდან რძის მიღების გეგმას ასრულებს კოლმეურნეობათა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. ამავე დროს გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებმა ძირითადად უნდა მოამარაგონ თბილისი რძით.

1951 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა თითქმის 6-ჯერ უნდა გაზარდონ ღორის სულადობა, ხოლო 1956 წლის დამლევისათვის — 14-ჯერ. 6 წლის შემდეგ საკოლმეურნეო მეფრინველეობის ფერმებში უნდა იყოს 165.000 კვერცხმდებელი ქათამი და 20.000 ინდაური.

ამ სერიოზული ამოცანის გადაწყვეტას აადვილებს მარცვლეულის მოყვანის მკვეთრად გადიდება. მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა გაცილებით მეტი ყურადღება მიექცეს საკვები ბაზის გაფართოებას ქალაქის სამრეწველო საწარმოების ნარჩენების სწორად გამოყენებით.

რაიონის კოლმეურნეობებში მევენახეობა წამყვან როლს არ ასრულებს, მაგრამ ზრდის საკმაოდ დიდი პერსპექტივები აქვს. საკმარისია ითქვას, რომ 1955 წლისათვის ვენახებმა უნდა დაიკავოს 961 ჰექტარი. ამ ფართობის მეტი ნაწილი საბჭოთა მეურნეობებისა იქნება, რომელთა წინაშეც დასახულია ამოცანა მოამარაგონ თბილისის მოსახლეობა სუფრის ყურძნით.

წელს რაიონის ბევრი კოლმეურნეობა გამსხვილდა. ამან ხელი შეუწყო შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციას და მნიშვნელოვნად გაადიდა შრომის ნაყოფიერება. გამსხვილებულმა კოლმეურნეობებმა მარცვლეულისა და სხვა კულტურების უფრო დიდი მოსავალი მიიღეს, ვიდრე წვრილმა არტელებმა. გაიზარდა პირუტყვის პროდუქტიულობა, გადიდდა კოლმეურნეთა შემოსავალი, რომლებიც შრომადღეზე გაცილებით მეტ პროდუქტებსა და ფულს იღებენ, ვიდრე გამსხვილებამდე.

კოლმეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს საშემოდგომო თესვა და ახლა ემზადებიან საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და ქალაქის საბჭოს აღმასკომმა უნდა გააძლიერონ მათდამი დახმარება ამ მნიშვნელოვან საქმეში. ქალაქის საბჭოს აღმასკომმა და განსაკუთრებით მისმა სოფლის მეურნეობის განყოფილებამ უაღრესად მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ რაიონის კოლმეურნეობებთან.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიული, სამეურნეო და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაკებმა.

მარტყოფის, წითელუბნისა და თელეთის კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა ამხ. ი. ოჩხიკიძემ, ზ. მგალობლიშვილმა და ვ. როინიშვილმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა დიდი როლი შეასრულა კოლმეურნეობათა გამსხვილებამ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტაში. მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობის მნიშვნელოვანი ზრდის გარდა, ახალი მიწების ათვისებით, ამა წლის შემოდგომაზე პირველად მოეწყო მინდვრის სამუშაოთა მექანიზაცია დიდი მოცულობით. მინდვრებში შეტანილია დიდძალი მინერალური სასუქი. საშემოდგომო თესვა დამთავრდა დაწესებულ აგროტექნიკურ ვადებში. ახლა კოლმეურნეები მთელ თავიანთ ღონისძიებებს მიმართავენ იქითკენ, რომ შემდეგშიც ზუსტად შეასრულონ აგროტექნიკის მოთხოვნები, უზრუნველყონ ნათესების კარგი მოვლა.

ერთგვარ გაუმჯობესებას მიაღწიეს კოლმეურნეობებმა მეცხოველეობაშიც, მაგრამ ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება. მეცხოველეობის პროდუქციის გამოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია. ეს მნიშვნელოვანწილად აიხსნება პირუტყვის არადამაკმაყოფილებელი მოვლით.

გარეუბნის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების კოლექტივებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს კოლმეურნეობათა მომსახურება. ამაზე ილაპარაკეს დიღმისა და მარტყოფის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორებმა ამხ. მ. დოლიძემ და დ. ბუხრაშვილმა.

პარტიული აქტივის კრება მოელოდა, რომ გლდანის ბერიას სახელობის გამსხვილებული კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. მ. ჩხიკვაძე და სოღანლუღის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. პ. ეფრემიძე დამსწრეთ გაუზიარებდნენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებას, უამბობდნენ იმას, თუ როგორ უდგანან სათავეში პარტიული ორგანიზაციები კოლმეურნეებს იმ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში, რომლებიც დასახა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა. ამის ნაცვლად კრებამ მოისმინა მოსაწყენი სამეურნეო ანგარიშები კოლმეურნეობათა გამგეობების საქმიანობის შესახებ.

ასევე ააგო თავისი გამოსვლა რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. გიორგობიანმა. დაარღვია რა რეგლამენტი, მან წაიკითხა წინასწარ დაწერილი ტექსტი გრძელი სიტყვისა, რომელშიც ძალიან ბევრი ციფრობრივი მონაცემები იყო ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს შესრულების შესახებ, ჩამოთვლილი იყო კოლმეურნეობათა წინაშე მდგომი ახალი სამეურნეო ამოცანები, მაგრამ არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, თუ როგორ ფიქრობენ განყოფილების მუშაკები დაეხმარონ კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებს ამ ამოცანების შესრულებაში.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. ქ. ცაგარელი, წყალთა მეურნეობის რაიონული განყოფილების უფროსი ამხ. გ. ჯალაღანია, პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. ი. მირიანაშვილი, სამგორწყალმშენის სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ა. ოჩიგავა და ტრესტ ხრამჰესმშენის მე-2 სამმართველოს უფროსი ამხ. მ. ებრალიძე.

პარტიული აქტივის კრებამ შეიმუშავა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

# მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს პირველი სესია

**გორი.** (საკ. კორ.). შედგა მშრომელთა დეპუტატების გორის მესამე მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველი სესია. სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა ალექსანდრე ციხითათრიშვილმა.

სესიამ დაამტკიცა დღის წესრიგი, აირჩია სამანდატო კომისია. სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ურჯუმელაშვილის მოხსენება.

— გორის მშრომელებმა, — თქვა სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ, —ჩვენი ქალაქის საბჭოს პირველ დეპუტატად ერთსულოვნად აირჩიეს დიდი ბელადი და მასწავლებელი, მშობლიური ამხანაგი ი. ბ. სტალინი.

ამ განცხადებას მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა.

გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან აგრეთვე დიდი სტალინის თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი. ყველა ოლქში არჩევნები ჩატარდა არჩევნების დებულების შესაბამისად. ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატია.

სესიამ მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი ნ. ჩუბინიშვილი, მდივნად — დეპუტატი თ. საური. საქალაქო საბჭოსთან შეიქმნა 7 მუდმივი კომისია.

## ახალქალაქის რაიონში

ახალქალაქში დაიწყო ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რაც მომავალ წელს დამთავრდება.

საცხოვრებელი სახლი, რომლის მშენებლობაზე 480.000 მანეთი დაიხარჯება, განკუთვნილია რაიონის სოფლის მეურნეობისა და საწარმოთა სპეციალისტთათვის.

* * *

აბლარის წყლიდან ახალქალაქამდე 7 კილომეტრზე გაყვანილია წყალსადენი. ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის შიდამაგისტრალური ქსელის გაყვანა.

მომავალ წელს ქალაქი უზრუნველყოფილ იქნება სუფთა წყლით.

* * *

რაიონის 5 სასოფლო საბჭოში აშენებენ საკოლმეურნეო ელექტროსადგურებს, რომელთა დამთავრება ნავარაუდევია 1951 წლისათვის.

ელექტროსადგურები მომსახურებას გაუწევენ 33 კოლმეურნეობას.

## ახალი სასკოლო შენობა

**წულუკიძე.** (საკ. კორ.). სოფელ გუბში დამთავრდა ახალი კაპიტალური სასკოლო შენობის აგება. მშენებლობაზე 478 ათასი მანეთი დაიხარჯა.

სკოლის შენობა 25-ოთახიანია. იგი მთლიანად აკმაყოფილებს სკოლის მოთხოვნილებას საკლასო ოთახებისა და სასწავლო კაბინეტების მხრივ.

მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის

# საუბრები, ლექციები

**ტყიბული.** (საკ. კორ.). შახტებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო ფართოდ ჩაღდება სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. ქალაქში მუშაობას განაგრძობს 10 აგიტპუნქტი, რომლებიც შექმნილი იყო ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროს.

ლენინის სახელობის შახტში სააგიტაციო მუშაობას 124 აგიტატორი ეწევა. აქ აგიტატორთათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების პოპულარიზაციის საკითხზე მოეწყო სემინარი.

აგიტატორთა უმრავლესობა ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. მეორე საექსპლოატაციო უბნის მეშახტეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს აგიტატორ დ. დობორჯგინიძის საუბარი საარჩევნო სისტემის შესახებ. აგიტატორის საუბარი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადგილობრივ ცხოვრებასთან, მდიდარი იყო კონკრეტული ფაქტებით.

დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა სტალინის სახელობის შახტში. კომუნისტებისა და კომკავშირელების ინიციატივით შახტის მთელი კოლექტივი წინასაარჩევნო სტახანოვურ ვახტზე დგას და ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. მეშახტეთა შორის სააგიტაციო მუშაობის გაძლიერების მიზნით პარტბიურომ გადაახალისა აგიტატორთა კადრები, შეავსო ისინი უფრო მომზადებული, მცოდნე კომუნისტებით. კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა შახტის ტერიტორიაზე მოქმედმა აგიტპუნქტებმა.

მოლოტოვის სახელობის შახტში სტალინური კონსტიტუციისა და საბჭოთა საარჩევნო სისტემის შესახებ რამდენიმე საუბარი ჩაატარეს მოწინავე აგიტატორებმა ვლ. ბოჭორიშვილმა, ე. მაღლაფერიძემ, ზ. დონაძემ და სხვებმა.

ტყიბულშახტმშენის ტრესტის სამშენებლო ობიექტებზე საარჩევნო კანონის პროპაგანდას ეწევა 50-მდე აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე.

საწარმო-დაწესებულებებში პარტკაბინეტის მუშაკები კითხულობენ ლექცია-მოხსენებებს თემებზე: „სტალინური კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა“, „საბჭოთა მოქალაქის უფლება-მოვალეობანი“, „საბჭოთა საარჩევნო სისტემა“.

# პირველი საუბრები

**წყალტუბო.** (საკ. კორ.). კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში გაცხოველებით დაიწყო მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

მაღლაკის, ცხუნკურისა და გვიშტიბის კოლმეურნეობებში მოეწყო აგიტატორთა თათბირი არჩევნების პერიოდში სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ. წითელი კუთხეები შეივსო ახალი საარჩევნო მასალებით.

მაღლაკის ჩაის ფაბრიკაში გაიმართა ლექცია სტალინური კონსტიტუციის შესახებ და მოეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა.

გუმბრინის წარმოებაში ამ დღეებში შეიკრიბა ოცდაათამდე აგიტატორი. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ს. ლოლაძე ესაუბრა მათ მომავალ საარჩევნო კამპანიაში სააგიტაციო მუშაობის საკითხებზე. დამატებით გამოყოფილ იქნა რამდენიმე კონსულტანტი. ისინი უკვე შეუდგნენ მუშაობას.

არჩევნებისათვის მზადება ფართოდ გაიშალა საკავშირო პროფსაბჭოს № 2 სანატორიუმში, სადაც ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ასობით დამსვენებელია. სანატორიუმში 12 აგიტატორი მუშაობს. აგიტატორებმა ნინო ზვიადაძემ და რუბენ ამშეკაშვილმა პირველ საუბრებში გააშუქეს საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიული ხასიათი.

საქართველოს კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს არჩევნებთან დაკავშირებით. მოეწყო აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სპეციალური მეცადინეობა. რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფმა შეიმუშავა არჩევნებისადმი მიძღვნილი ლექციების თემატიკა, რომლის საფუძველზე ჯგუფის წევრები ადგილებზე წაიკითხავენ ლექციებს.

# ქართველ მწერალთა ბრიგადა ჩრდილოეთ კავკასიაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტმა ამ დღეებში ახალგაზრდა მწერალთა ბრიგადა მიავლინა ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ ყიზლარში, საზამთრო საძოვრებზე მყოფი მომთაბარე მწყემსებისათვის კულტურული მომსახურების გასაწევად და ლიტერატურულ-მხატვრული საღამოების მოსაწყობად. მწერალთა ბრიგადაში შედიოდნენ ამხანაგები: შ. ამისულაშვილი, ზ. ლორთქიფანიძე, ვ. გორგანელი, ლექტორი ვ. ლორთქიფანიძე და კინოოპერატორი ე. ნაგორნი.

კომიტეტმა მწერალთა ბრიგადასთან გაატანა ჟურნალ-გაზეთები, დიდძალი საარჩევნო და მხატვრული ლიტერატურა და სხვ. საზამთრო საძოვრებზე მყოფი საკოლმეურნეო მეცხვარეობის ფერმების მწყემსებისათვის უფასოდ გადასაცემად.

მწერალთა ბრიგადამ სხვადასხვა პუნქტებში მომთაბარე მწყემსებთან გამართა ხუთი ლიტერატურულ-მხატვრული საღამო, მოაწყო ექვსი ლექცია. კინოოპერატორმა გადაიღო მნიშვნელოვანი მომენტები მწყემსების ცხოვრებიდან.

ბრიგადის მუშაობით მწყემსები კმაყოფილი დარჩნენ.

# ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეცამეტე ტომი

ოცდამეცამეტე ტომის გამოშვებით მთავრდება იმ ძირითად ნაწარმოებთა პუბლიკაცია, რომლებიც შეტანილია ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემაში*. გენიალური მოაზროვნის, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელისა და ბელადის ვ. ი. ლენინის შრომები შეადგენენ ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხალხის, მთელი მსოფლიოს კომუნისტური პარტიებისა და მშრომელების უდიდეს განძს. ლენინის ნაწარმოებებში ხორცშესხმულია დიადი ძალა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებისა, რომლებიც მძლავრ რევოლუციურ ზეგავლენას ახდენენ მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე.

ოცდამეცამეტე ტომში შესული ნაწარმოებნი განსაკუთრებული სიღრმით წარმოგვიდგენენ ვლადიმერ ილიას-ძის დიად დაუვიწყარ სახეს, მის რევოლუციურ გენიას, დაუღალავ, ყოვლისმომცველ მოღვაწეობას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. ტომში გამოქვეყნებულია ლენინის გამოსვლები და სტატიები, მათ შორის — „კოოპერაციის შესახებ“, „ჩვენი რევოლუციის შესახებ“, რომლებიც, როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, წარმოადგენენ ლენინის პოლიტიკურ ანდერძს ჩვენი პარტიისადმი.

ტომში მოთავსებული მასალები და დოკუმენტები მკაფიოდ გვიჩვენებენ ლენინისა და სტალინის დიად თანამებრობას. მთელ მუშაობას პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსადმი ხელმძღვანელობის, სოციალისტური მშენებლობის ორგანიზაციის დარგში ლენინი ეწეოდა თავის უერთგულეს თანამებრძოლთან და მეგობართან ამხანაგ სტალინთან ერთად. პარტიის XI ყრილობის შემდეგ 1922 წლის აპრილში, ლენინის წინადადებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამხანაგი სტალინი აირჩია ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად. მას შემდეგ ამხანაგი სტალინი უცვლელად მუშაობს ამ პოსტზე და გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს პარტია.

ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის უკვდავი საქმის დიდი განმგრძობის ამხანაგ სტალინის მეთაურობით, საბჭოთა ხალხმა განახორციელა ლენინის ანდერძი, ააშენა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოება და ამჟამად მტკიცე რწმენით მიდის წინ, კომუნიზმის გზით.

1.

ტომში მოთავსებულ ნაწარმოებებში ლენინი განაზოგადებს რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურის პირველი წლების გამოცდილებას, შემდგომ ავითარებს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის თეორიას, გენიალურად სახავს ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების გეგმას.

თავის კლასიკურ ნაწარმოებში „ჩვენი რევოლუციის შესახებ“ ლენინმა ბოლომდე ამხილა მარქსიზმის მოღალატენი—მენშევიკები და მათი დასავლეთევროპელი თანამოძმენი, რომლებმაც რუსეთის რევოლუცია გამოაცხადეს „უკანონო“ რევოლუციად, რომელიც არ შეესაბამებოდა მათს რეფორმისტულ „რევოლუციის სქემას“. ლენინმა ულმობლად დასცინა ოპორტუნისტებს, დოგმატიკოსებს, რომლებიც ბურჟუაზიის წინაშე მლიქვნელობას ფარავდნენ „საწარმოო ძალთა“ ოპორტუნისტული თეორიით. იგი წერდა:

„სოციალიზმის შესაქმნელად, — ამბობთ თქვენ,—საჭიროა ცივილიზებულობა. ძალიან კარგი. მაგრამ რატომ ვერ შეძელით თქვენ ჯერ შეგექმნათ თქვენთან ცივილიზებულობის ისეთი წინაპირობები, როგორიცაა მემამულეთა განდევნა და რუსეთის კაპიტალისტების განდევნა, ხოლო შემდეგ უკვე დაგეწყოთ მოძრაობა სოციალიზმისაკენ? რა წიგნებში ამოიკითხეთ, რომ ჩვეულებრივი ისტორიული რიგის ასეთი ცვლილებანი დაუშვებელი ან შეუძლებელია?“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 439).

დიალექტიკის გენიალური ოსტატი ლენინი თავდაყირა აყენებს მკვდარ რეფორმისტულ „რევოლუციის სქემას“ და გაბედულად კაფავს პროლეტარიატის რევოლუციური პრაქტიკის ახალ გზებს. მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობა, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, ხაზგასმით აღნიშნავდა ლენინი —ეს არის ჩვენი ქვეყნის წარმატებითი სოციალისტური გარდაქმნის პირველი და გადამწყვეტი წინაპირობა.

მშრომელთა დიდ ბელადებს ლენინსა და სტალინს მტკიცედ და წინდახედულად მიჰყავდათ პარტია და ხალხი სოციალისტური მშენებლობის გაუკვალავი გზებით. X ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა პარტიამ, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, უბადლო ოსტატობით დაძაბულ ვითარებაში განახორციელა გაბედული და მძაფრი შემობრუნება სამხედრო კომუნიზმიდან ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ.

„ვერც ერთი პარტია მსოფლიოში, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, —ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ასეთ მძაფრ შემობრუნებას ვერ გაუძლებდა დაუბნევლად, გაუთიშავად... ასეთი მძაფრი შემობრუნებისას პარტიამ არა თუ გაუთიშავად გაიტანა თავი, არამედ დაუბნევლადაც განახორციელა იგი.

ეს მოწმობს პარტიის უმაღლესი მოქნილობას, შეკავშირებულობასა და დარაზმულობას.

ეს არის იმის საწინდარი, რომ ჩვენი პარტია გაიმარჯვებს“ (თხზ., ტ. 5, გვ. 243, 244).

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველმავე წელმა უცილობლად დაამტკიცა სოციალიზმის ეკონომიური საძირკვლის შექმნის ლენინური სტრატეგიული გეგმის სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა. ნეპზე გადასვლამ განამტკიცა მუშათა და გლეხთა კავშირი ეკონომიურ საფუძველზე. გაიზარდა პროლეტარიატის დიქტატურის ძლიერება. პარტიამ მიაღწია გარდატეხას სამეურნეო ფრონტზე—დაიწყო სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის გამოცოცხლება.

სიტყვაში „ახალი ეკონომიური პოლიტიკა და პოლიტგანყოფილებების ამოცანები“, გამოსვლაში მეტალისტთა სრულიად რუსეთის ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე, მოხსენებასა და საბოლოო სიტყვაში პარტიის XI ყრილობაზე ლენინმა შეაჯამა ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების პირველი შედეგები.

„ჩვენ ერთ წელიწადს უკან ვიხევდით, — ამბობდა ლენინი პარტიის XI ყრილობაზე.—ჩვენ ახლა პარტიის სახელით უნდა ვთქვათ:— კმარა! ის მიზანი, რასაც უკანდახევით ვისახავდით, მიღწეულია. ეს პერიოდი მთავრდება, ან დამთავრდა. ახლა ისახება მეორე მიზანი — ძალთა გადაჯგუფება“ (გვ. 250-251).

ლენინი აღნიშნავდა, რომ ეკონომიურად და პოლიტიკურად ნეპი სავსებით უზრუნველყოფს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების შესაძლებლობას. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ნეპი მოასწავებს გაფთრებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის ფორმულით — „ვინ ვის“. იმისათვის, რომ ამ ბრძოლაში სოციალიზმს გაემარჯვნა, საჭირო იყო უზრუნველგვეყო კავშირი სოციალისტურ მრეწველობასა და გლეხურ ეკონომიკას შორის, რისთვისაც ყოველმხრივ უნდა განგვევითარებინა საქონელბრუნვა ქალაქსა და სოფელს შორის. ვაჭრობა მაშინ ძირითადი რგოლი იყო პარტიის წინაშე მდგომი ამოცანების წყებაში.

ლენინის მითითებათა საფუძველზე პარტიამ XI ყრილობის შემდეგ ფართოდ გაჩაღა სამეურნეო მუშაობა. ლენინსა და სტალინს მტკიცე რწმენით მიჰყავდათ პარტია წინ, სოციალიზმის გამარჯვების მიღწევისაკენ. თავის უკანასკნელ გამოსვლაში მასების წინაშე, მოსკოვის საბჭოს პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ლენინი ამბობდა:

„სოციალიზმი უკვე ახლა აღარ არის შორეული მომავლის, ან რაიმე განყენებული სურათის, ან რაიმე ხატის საკითხი... ჩვენ სოციალიზმი ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოვიტანეთ და აქ უნდა გავერკვეთ. აი რა შეადგენს ჩვენს სადღეისო ამოცანას, აი რა შეადგენს ჩვენი ეპოქის ამოცანას. ნება მიბოძეთ დავამთავრო იმ რწმენის გამოთქმით, რომ რარიგ ძნელიც უნდა იყოს ეს ამოცანა, რარიგ ახალიც უნდა იყოს იგი ჩვენს წინანდელ ამოცანასთან შედარებით, და რა ბევრ სიძნელესაც უნდა გვიქმნიდეს იგი,—ჩვენ ყველანი ერთად, არა ხვალ, არამედ რამდენიმე წელიწადში, ჩვენ ყველანი ერთად აუცილებლად გადავწყვეტთ ამ ამოცანას, ასე რომ ნეპური რუსეთი სოციალისტურ რუსეთად გადაიქცევა“ (გვ. 405).

ლენინ-სტალინის პარტიის ნებით, საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლით ნეპური რუსეთი გადაიქცა სოციალისტურ რუსეთად. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი წარმატებით აშენებს კომუნიზმს, რომელიც უკვე ამჟამად შორეული მომავლის საკითხი კი არ არის, არამედ მილიონობით ადამიანთა ცოცხალი პრაქტიკული საქმეა.

2.

ოცდამეცამეტე ტომი შეიცავს ლენინის უმნიშვნელოვანეს საპროგრამო ნაშრომებს — „კოოპერაციის შესახებ“, „ფურცლები დღიურიდან“, „უმჯობესია ცოტა, მაგრამ უკეთესი“, რომლებშიც გენიალურად დამუშავებულია ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის ძირეული ამოცანები.

ლენინი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მძიმე ინდუსტრიას. მსხვილი სამანქანო მრეწველობა, აღნიშნავდა ლენინი, სოციალიზმის ერთადერთი ეკონომიური ბაზაა.

ლენინი გვასწავლიდა, რომ ხელისუფლების სათავეში მდგომმა მუშათა კლასმა უდიდესი ეკონომიის ფასად უნდა მიაღწიოს იმას, რომ ყოველი მცირე დანაზოგი მოახმაროს მსხვილი ინდუსტრიის, ელექტროფიკაციის განვითარებას.

„მხოლოდ მაშინ,—წერდა ლენინი, —შეგვეძლება გადავჯდეთ, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ერთი ცხენიდან მეორეზე, სახელდობრ, გლეხური, გაძვალტყავებული ცხენიდან, გაღატაკებული გლეხური ქვეყნისათვის ნავარაუდევი ეკონომიების ცხენიდან — იმ ცხენზე, რომელსაც ეძებს და არ შეიძლება არ ეძებდეს თავისთვის პროლეტარიატი, მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის, ელექტროფიკაციის, ვოლხოვმშენის და ა. შ. ცხენზე“ (გვ. 459).

ეყრდნობოდა რა ლენინის მითითებებს სოციალიზმის საძირკვლის აშენებისათვის მძიმე მრეწველობის მნიშვნელობის შესახებ, ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროგრამა. მან ყოველმხრივ დაასაბუთა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გზების, მეთოდებისა და ტემპების საკითხი. ტროცკისტ-ბუხარინელი გამცემლებისა და ხალხის სხვა მტრების წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლაში ლენინ-სტალინის პარტიამ სტალინური ხუთწლედების მანძილზე მიაღწია ჩვენი ქვეყნის გადაქცევას მძლავრ ინდუსტრიულ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

სახავდა რა ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების გეგმას, ლენინმა მოგვცა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ყველაზე რთული და ძნელი საკითხის — მშრომელი გლეხობის მილიონიანი მასების სოციალიზმის გზაზე გადაყვანის საკითხის გენიალური გადაწყვეტა. ცნობილ სტატიაში „კოოპერაციის შესახებ“ ლენინმა ჩამოაყალიბა დიადი კოოპერაციული გეგმა გლეხობის გადაყვანისა სოციალიზმის რელსებზე.

კოოპერაცია პროლეტარიატის დიქტატურის დროს ლენინს მიაჩნდა ყველაზე მარტივ, ადვილ და გლეხისათვის მისაწვდომ გზად წვრილი ერთპიროვნული მეურნეობიდან მსხვილ საამხანაგო საწარმოო გაერთიანებებზე—კოლექტიურ მეურნეობებზე გადასვლისათვის. მხოლოდ კოოპერაციის მეშვეობით, ჯერ გასაღების დარგში, ხოლო შემდეგ წარმოების დარგში შეიძლო გლეხს პრაქტიკულად ესწავლა სოციალიზმის შენება. კოოპერაციის უბრალო ზრდა, აღნიშნავდა ლენინი, ჩვენთვის იგივეა, რაც სოციალიზმის ზრდა.

ლენინის კოოპერაციულ გეგმაზე დაყრდნობით, ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ შეიმუშავა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია. ამ თეორიით შეიარაღებულმა

* თხზულებათა 34 და 35 ტომებში შევა ვ. ი. ლენინის მიწერ-მოწერა ორგანიზაციებთან და პირებთან.

# მექანიკოს იროდიონ ნიკოლაიშვილის გამოცდილება— მსუბუქი მრეწველობის ყველა საწარმოს

თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მესამე საამქროს მექანიკოსმა იროდიონ ნიკოლაიშვილმა შეიმუშავა და საამქროში დანერგა მანქანა-დანადგართა გაუცდენლად მუშაობის მეთოდი, რამაც გამოიწვია საამქროში შრომის ნაყოფიერების გადიდება, უზრუნველყო მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვება.

მიმდინარე წლის ნოემბერში სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ მოისმინა მოხსენება მექანიკოს ი. ნიკოლაიშვილის მეთოდის შესახებ, მოიწონა ეს მეთოდი და ურჩია მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელებს დანერგონ იგი. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ამხ. ა. ნ. კოსიგინის ბრძანებით ი. ნიკოლაიშვილის მუშაობის მეთოდს მიეცა მაღალი შეფასება.

## ნიკოლაიშვილი მოგვითხრობს

მექანიკოსი იროდიონ ნიკოლაიშვილი თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში მუშაობდა სამამულო ომის წინა წლებშიც.

— 1945 წელს, როდესაც დემობილიზაციის შემდეგ ფაბრიკაში დავბრუნდი და მესამე საამქროში უფროს მექანიკოსად დავიწყე მუშაობა,—მოგვითხრობს ი. ნიკოლაიშვილი, — დავრწმუნდი, რომ ჩვენს საამქროს გაცილებით მეტი პროდუქციის გამოშვება შეეძლო, ვიდრე უშვებდა. გადავწყვიტე შემესწავლა ის მიზეზები, რაც საამქროს მუშაობას აფერხებდა და მანქანა-დანადგართა სრული სიმძლავრით ათვისებას ხელს უშლიდა. დანარჩენი, ადვილად გამოსასწორებელი მიზეზების გარდა დავრწმუნდი, რომ საამქროს სიმძლავრეს დიდად ჰკვეცავდა არსებული მოწყობილობის — კონვეიერებისა და საკონვეიერო მანქანების ტექნიკური გაუმართაობა.

დავიხმარე ჩვენი საამქროს მექანიკოსები, შევუდექი დანადგართა გამართვას. შედეგი არცთუ ისე ბრწყინვალე გამოდგა. საამქროს ნაყოფიერება შესამჩნევად არ გადიდებულა, თუმცა ერთგვარი გაუმჯობესება იყო.

შრომის ნაყოფიერების გადიდებას კვლავ აბრკოლებდა მანქანა-დანადგართა ხშირი გაცდენა ხან ერთ, ხან მეორე უბანზე. შემდგომმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ მანქანა-დანადგართა გაცდენას იწვევდა ცალკე მანქანის ან დანადგარის ერთი რომელიმე კვანძის მანკი, ან რომელიმე დეტალის შეუფერებლობა. მაგალითად, რანტის მისაკერავი მანქანის გაცდენას ხშირად იწვევდა ეგრეთწოდებული სავარცხლის კბილების სისუსტე. კბილები ტყდებოდა, სავარცხლის გამოცვლა მრავალჯერ გვიხდებოდა და ამით მანქანის გაცდენა იზრდებოდა. ბუნებრივია, რომ ნაკადური (კონვეიერული) მუშაობისას ერთი მანქანის გაცდენა აფერხებდა მთელ ნაკადს. ამის თავიდან ასაცილებლად ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვემუშავებინა ახალი კონფიგურაციის სავარცხელი, რომელსაც კბილები უფრო მყარი ჰქონდა. ამით რანტის მისაკერავი მანქანა გავაჯანსაღეთ.

ასევე მოგვიხდა მთელი რიგი დეტალების, ზოგჯერ სამანქანო კვანძების შეცვლა სხვა დანადგარებზე. ამის შედეგად ახლა ეს მანქანები შეუფერხებლად მუშაობენ და ზოგ მათგანზე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არც ერთი შეფერხება არ მომხდარა.

ცხადია, მარტოოდენ ეს ღონისძიებანი არ კმაროდა იმისათვის, რომ მანქანა-დანადგართა გაცდენა აღმოგვეფხვრა. საჭირო იყო ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელება.

დამარეგულირებელი მექანიკოსების მუშაობას ჩვენს საწარმოში, ისევე როგორც მსუბუქი მრეწველობის თითქმის ყველა სხვა საწარმოში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მთავარი ყურადღება მივაქციეთ მექანიკოს-დამარეგულირებლებისათვის მუშაობის კარგი პირობების შექმნას. ჩვენ მათთვის მოვაწყვეთ კარგად გამართული სამუშაო ადგილები, მოვამარაგეთ თითეული დამარეგულირებელი ყველა საჭირო ხელსაწყო-სამარჯვით, რათა მუშაობის დროს მათ არ დასჭირებოდათ ამ სამარჯვთა ძებნა, ამავე დროს მივეცით ყველა მანქანათა სათადარიგო დეტალების მარაგი, ავაწყვეთ და შეუფერხებელი მუშაობისათვის გავამზადეთ კონვეიერულ სისტემაში ჩასართავად ყველა სარეზერვო მანქანა. კონვეიერის სისტემაში რომელიმე დანადგარის ან მანქანის მუშაობის შეფერხებისას სწრაფად ხდება სარეზერვო მანქანის ჩართვა. ამით ყოველ კონვეიერზე გაცდენა მინიმუმამდე დაგვყავს.

ხშირად მოწყობილობის გაცდენას იწვევდა ისიც, რომ მექანიკოსები „ვიწრო" სპეციალობისა იყვნენ, ე. ი. ერთ მექანიკოსს შეეძლო მხოლოდ გარკვეული ტიპისა და დანიშნულების მანქანის მომსახურება. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ჩვენ მექანიკოს-დამარეგულირებლებს შევასწავლეთ სხვადასხვა ტიპის მანქანათა მომსახურება. თუ რაიმე შემთხვევის გამო დამარეგულირებელი იმ დღეს არ მოვიდოდა და მის უბანზე კი შეფერხება მოხდებოდა, ამ შეფერხების ლიკვიდაციას მეზობელი უბნის დამარეგულირებელი-მექანიკოსი ახდენდა.

დაკვირვებით იმ დასკვნამდე მივედით, რომ საჭირო იყო დანადგართა რემონტის გაკეთება იმ დროს, როდესაც მუშები შესვენებაზე არიან. შესვენება კი მთელ ფაბრიკაში ერთდროულად როდია. ამის გამო საჭიროდ ვცანით გადავსულიყავით მოწყობილობის შეკეთების „მოძრავ" გრაფიკზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მერემონტე-დამარეგულირებელთა ბრიგადა მუშაობდა იმ მანქანა-დანადგარებზე, სადაც შესვენება იყო და როდესაც მოაღწევდა ამ დანადგართა ამუშავების დრო, ე. ი. შესვენება დამთავრდებოდა, ბრიგადა გადავიდოდა იმ დანადგარებზე, სადაც შესვენება იწყებოდა.

მანქანა-დანადგართა გაცდენის აღმოფხვრას დიდად შეუწყო ხელი ცალკე დანადგართა მუშაობის ხასიათის შესწავლამ. მანქანა-დანადგართა ასეთი შესწავლის შედეგად ვახერხებთ შეკეთების ვადების საგრძნობლად შემჭიდროებას.

ყოველივე ამას უნდა დავუმატო ისიც, რომ გაცდენების ლიკვიდაციას ვაღწევთ მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებით, მათთვის ახსნა-განმარტების მიცემით, თუ როგორ მოეპყრონ მანქანას, როგორ იმუშაონ, რათა შეფერხება არ ექნეთ. ყველა ამ ღონისძიების შედეგად ფაბრიკის მექანიკური საამქრო შესამჩნევად განიტვირთა და საამქროს მექანიკოსებს მეტი შესაძლებლობა ეძლევათ, რომ გულდასმით იმუშაონ მანქანა-დანადგართა კაპიტალური რემონტის ხარისხის ამაღლებაზე.

## ნიკოლაიშვილის მეთოდით მუშაობის შედეგები

იროდიონ ნიკოლაიშვილის მეთოდის დანერგვამ გამოიწვია ფაბრიკის საწარმოო მაჩვენებლების ზრდა. ამ ზრდის მთავარი წყაროა ტექნიკური მიზეზებით მანქანა-დანადგართა გაცდენის სრული ლიკვიდაცია.

მიმდინარე წლის 11 თვის განმავლობაში ნორმის მიხედვით ფეხსაცმლის საკერავ მარტო ორ კონვეიერზე გათვალისწინებული იყო 69,6 მანქანა-საათი დროის გაცდენა. გაცდენის სრული ლიკვიდაციის შედეგად მარტო ამ ორ კონვეიერზე გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნა 14.000 წყვილი ფეხსაცმელი.

მექანიკოსების მიერ სხვადასხვა ტიპის მანქანა-დანადგართა დარეგულირების შესწავლის შედეგად საამქროს მომსახურე მექანიკოსთა რიცხვი შემცირებულ იქნა 4 კაცით, რამაც საამქროს 18.000 მანეთის ეკონომია მისცა. დიდი ეკონომიაა მიღებული აგრეთვე იმით, რომ საამქროს მექანიკოსებმა მანქანა-დანადგართა კარგი გამართულობის გამო თავისუფალ საათებში შეაკეთეს 67 მანქანა, ორივე კონვეიერი და მათი საფრები.

შემცირებულია სათადარიგო სამანქანო დეტალების ხარჯვა, გაწეულია ამ დეტალთა ისეთი ეკონომია, რომელიც ერთი თვისთვის საკმარის მარაგს წარმოადგენს.

* * *

25 დეკემბერს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში შედგა თბილისის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა დირექტორების, ადგილობრივი პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელზეც თავისი მეთოდით მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მექანიკოსმა ი. ნიკოლაიშვილმა.

თათბირზე ნიკოლაიშვილის მეთოდის მნიშვნელობის შესახებ სიტყვები წარმოთქვეს იმავე ფაბრიკის დირექტორმა კ. ბუჯიაშვილმა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ი. ართმელაძემ, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგემ ამხ. ბ. ლელინმა, საწარმოთა დირექტორებმა, მთავარმა მექანიკოსებმა და საწარმოთა პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებმა.

თათბირმა მიზანშეწონილად ცნო გამოიცეს ბროშურა ი. ნიკოლაიშვილის გამოცდილების შესახებ და დაისახოს პრაქტიკული ღონისძიებანი საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ყველა საწარმოში ამ მეთოდის დასანერგავად.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. თ. ქელიძემ.

# საფრანგეთის კომუნისტური პარტიის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება პარიზში

**პარიზი**, 28 დეკემბერი. (საქტაგი). პარიზში საზამთრო ველოდრომის შენობაში გაიმართა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. პრეზიდიუმის ტრიბუნის ზემოთ, რომელიც მორთულია წითელი და სამფეროვანი ალმებით, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, მორის ტორეზისა და მარსელ კაშენის პორტრეტებია. კრების პრეზიდიუმში არიან: ჟაკ დიუკლო, მარსელ კაშენი, ანდრე მარტი, ოგიუსტ ლეკერი, ბენუა ფრაშონი, ფრანსუა ბიიუ, შარლ ტიიონი, რაიმონ გიიო, ეტიენ ფაჟონი, ლეონ მოვე, ვალდეკ როშე, ლორან კაზანოვა, ვიქტორ მიშო, ფლორიმონ ბონტი, ჟორჟ კონიო და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრები, აგრეთვე ამ დღეებში საპყრობილიდან განთავისუფლებული მშვიდობის გმირი დამცველი რაიმონდა დიენი, ალჟირის, დასავლეთ გერმანიის, არგენტინის, ბელგიის, ბრაზილიის, ინგლისის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგისა და საარის კომუნისტური პარტიებისა და შვეიცარიის შრომის პარტიის წარმომადგენლები.

მრავალი ათასი კაცისაგან შემდგარი აუდიტორიის ტაშის გრიალში საზეიმო კრება გახსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის უხუცესმა მოღვაწემ მარსელ კაშენმა.

შემდეგ ოგიუსტ ლეკერმა გამოაცხადა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მიერ სხვადასხვა ქვეყნის მოძმე პარტიებისაგან მიღებული მისალმებანი. საბჭოთა კავშირის, საკავშირო კ. პ. (ბ) და ამხანაგ სტალინის პატივსაცემ მქუხარე ოვაციებსა და მისალმებელ შეძახილებში წაკითხულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის დეპეშა.

### საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება მოძმე საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას მისი ოცდამეათე წლისთავის დღეს.

ვუსურვებთ საფრანგეთის კომუნისტებს ახალ წარმატებებს თავიანთი სამშობლოს საუკეთესო მომავლისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხთა მეგობრობას!

გაუმარჯოს მოძმე საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

ლეკერმა წაიკითხა აგრეთვე ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს მაო ძე-დუნი, და ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ალბანეთის, ესპანეთის, საბერძნეთის, მაროკოს და მრავალი სხვა ქვეყნის მოძმე პარტიებისაგან მიღებული დეპეშები.

შეკრებილებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი დეპეშა მორის ტორეზისადმი.

კრებაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ჟაკ დიუკლო. მან მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ მორის ტორეზი მოკლებულია შესაძლებლობას გამოვიდეს ამ საზეიმო კრებაზე, და შეკრებილთა სახელით უსურვა ტორეზს მალე გაჯანსაღება.

„ჩვენი პარტიის 30-ე წლისთავის დღესასწაული, — განაცხადა დიუკლომ, — ისეთ პირობებში მიმდინარეობს, როდესაც ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები ამრავლებენ თავიანთ პროვოკაციებს, როდესაც ხალხთა ბრძოლა მშვიდობის დაცვისათვის სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებს და მზარდი ენერგიით წარმოებს, და ჩვენ, ფრანგ კომუნისტებს, სავსებით შეგნებული გვაქვს იმ ბრძოლის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც საფრანგეთში ვეწევით".

მადლობა გადაუხადა რა მოძმე პარტიებს, რომლებმაც თავიანთი მისალმებანი გამოუგზავნეს საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას, დიუკლომ თქვა: „ყველამ იცის, რომ ყოველი ჩვენგანის განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია იმ კომუნისტური პარტიის წერილმა, რომელიც მუდამ სანიმუშო და სამაგალითო იყო და არის ჩვენთვის, იმ დიადი პარტიისა, რომელმაც შეცვალა მსოფლიო ისტორიის მსვლელობა, — სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წერილმა".

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის განვითარების ისტორიულ ეტაპებზე იმ მომენტიდან, რაც იგი წარმოიშვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით.

დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია, რომელიც მუდამ იბრძოდა მუშათა კლასის საქმისათვის, სწავლობდა საკავშირო კომუნისტური პარტიისაგან (ბოლშევიკებისაგან). შემდეგ მან აღნიშნა მორის ტორეზის ისტორიული დამსახურება, რომელმაც სასტიკ ბრძოლაში გამოაწრთო საფრანგეთის კომუნისტური პარტია.

„იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლაში შექმნილი ჩვენი პარტია, — განაგრძო დიუკლომ, — მუდამ ერთგული იყო თავისი პრინციპებისა. ჩვენი პარტია იბრძოდა 1925 წელს მაროკოში გაჩაღებული ომის წინააღმდეგ. ამ კოლონიური ომის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის თავმჯდომარე იყო მორის ტორეზი. პარტია იბრძოდა სირიაში ომის წინააღმდეგ, როგორც იბრძვის დღეს ვიეტნამში წარმოებული ომის წინააღმდეგ. ამრიგად, ჩვენმა პარტიამ ცხადყო, რომ იგი ერთგულია მარქსიზმის პრინციპისა: „ხალხი, რომელიც სხვა ხალხს ჩაგრავს, არ შეიძლება თავისუფალი იყოს"... ჩვენი პარტია მუშათა კლასისა და კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა შორის საბრძოლო კავშირის პარტიაა".

დიუკლო შეეხო საფრანგეთის კომპარტიის ბრძოლას საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, საფრანგეთის ეროვნული ინტერესების მოღალატეთა წინააღმდეგ, ფრანგი კომუნისტების გმირულ ბრძოლას ვიშის რეჟიმისა და გერმანული ოკუპაციის დროს.

შემდეგ დიუკლო შეეხო კომპარტიის ბრძოლას მარშალის გეგმისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ. შორეულ აღმოსავლეთში ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი სატელიტების აგრესიის წინააღმდეგ.

დარწმუნებული ვარ, რომ გამოვხატავ ყველა აქ დამსწრის გრძნობებს, — თქვა დიუკლომ, — და ძმურ სალამს ვუძღვნი გმირ კორეელ ხალხსა და ჩინელ მოხალისეებს, რომლებმაც დახმარება გაუწიეს კორეელებს, რათა დაეცვათ ხალხთა დამოუკიდებლობის საქმე, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთაგან დაეცვათ მშვიდობა.

დიუკლომ მოუწოდა დამსწრეთ ეცადონ საექსპედიციო კორპუსის დაბრუნებას ვიეტნამიდან საფრანგეთში, მშვიდობის დამყარებას ვიეტნამში ხო ში მინთან პატიოსანი მოლაპარაკების საშუალებით.

ამზადებენ რა ომს ევროპაში, ამერიკის მმართველები იმედს ამყარებენ მათ მიერ უკვე დამონებული ქვეყნების ჯარისკაცებზე, თქვა შემდეგ დიუკლომ, მაგრამ დოლარის მაგნატები იმედს ამყარებენ, უწინარეს ყოვლისა, გერმანელთა არმიაზე, რომელიც მზად იქნებოდა გაემეორებინა ხალხთა თავისუფლების წინააღმდეგ ჰიტლერის მიერ ერთ დროს გაჩაღებული ომი. ომის ამერიკელი გამჩაღებლები, რომლებიც იაპონელებს აიარაღებენ აღმოსავლეთში, შეუდგნენ აგრეთვე გერმანიის შეიარაღებას დასავლეთში, სადაც უკვე შექმნილია საკმაოდ მნიშვნელოვანი სამხედრო ფორმირებანი.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ ფრანგ და გერმანელ კომუნისტთა შორის არსებობდა და არსებობს ინტერნაციონალიზმის ტრადიციული კავშირი, დიუკლომ განაცხადა: „ჩვენ თანავუგრძნობთ გერმანელებს მათს ბრძოლაში მშვიდობისათვის. მეორე მხრივ, ჩვენ გამოვდივართ იმათ წინააღმდეგ, ვინც გერმანელ ფაშისტებთან ერთად ამზადებდა და ამზადებს დანაშაულებრივ ომს. ჩვენ ვიბრძვით სამხედრო დამნაშავეთა წინააღმდეგ, რომლებიც რევანშისტულ დასავლეთ გერმანიაში ახალ ომს ამზადებენ".

დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაფართოება. „ბრიუსელში ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირზე გერმანიის შეიარაღების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, — თქვა მან, — დიდი შეშფოთება გამოიწვია საფრანგეთში. ჩვენი ხალხი აღშფოთებულია იმით, რომ განზრახული აქვთ შეაიარაღონ მკვლელები, ის ადამიანები, რომლებმაც მოსპეს ორადურ-სიურ-გლანი, შეაიარაღონ ჯალათები იმ ფრანგებისა, რომლებიც ინტერნირებული და სამშობლოს ფარგლებს გარეთ გადასახლებული იყვნენ გერმანელი ფაშისტების მიერ.

საფრანგეთის მთავრობამ, განაგრძო დიუკლომ, დაეთანხმა რა გერმანელთა არმიის ხელახლა შექმნას, დაარღვია ის ვალდებულებანი, რომლებიც საფრანგეთმა იკისრა".

შემდეგ დიუკლო შეჩერდა ფრანგი ხალხის ერთგულებაზე საბჭოთა ხალხთან მეგობრობისადმი.

გაიხსენა რა საბჭოთა კავშირის წინადადება ოთხი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევის შესახებ, დიუკლომ აღნიშნა, რომ ვაშინგტონის, ლონდონისა და პარიზის მთავრობებმა ვერ გაბედეს გადაჭრით ეთქვათ უარი კონფერენციის მოწვევაზე, მაგრამ ისინი ყოველნაირად ცდილობენ ჩაშალონ ეს კონფერენცია.

„ერთი რამ აშკარაა, — განაცხადა დიუკლომ, — რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მონაწილეებმა გადაწყვიტეს ბოლომდე მიიყვანონ თავიანთი აგრესიული გეგმები, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ დანაშაულებრივი პროვოკაციების წინაშე ჩვენ ვაცხადებთ, ჩვენ ვიმეორებთ და კიდევ და კიდევ გავიმეორებთ მორის ტორეზთან ერთად:

„ფრანგი ხალხი არ იომებს, არასოდეს არ იომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ"!

დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაჩაღდეს კამპანია საფრანგეთის მთელი მოსახლეობისათვის იმ გადაწყვეტილებათა განსამარტავად, რომლებიც მიღებულ იქნა ვარშავაში მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე, აგრეთვე გაჩაღდეს უფრო გადამწყვეტი ბრძოლა მშვიდობისათვის.

„საჭიროა ყველამ გაიგონოს საფრანგეთის ხმა, მშვიდობის ხმა,—განაგრძო დიუკლომ.—საჭიროა ჩვენი ხალხის უდიდესი მასები ამოძრავდნენ და გამოვიდნენ იმ საზიზღარი გამცემლობის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენი მმართველები ეწევიან. ჩვენ შეგვიძლია ჩავშალოთ და ვალდებული ვართ ჩავშალოთ ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი ღონისძიებანი.

ომი გარდუვალი როდია. ხალხთა ბრძოლაზეა დამოკიდებული ის, რომ მშვიდობა შენარჩუნებულ იქნას, რომ შესაძლებელი იყოს ორი სისტემის—სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობა".

დიუკლომ თავის სიტყვაში დიდი ყურადღება მიაქცია მუშათა კლასის ერთიანობის, იმ მშრომელ სოციალისტებთან და კათოლიკეებთან კომპარტიის მოქმედების ერთიანობას, რომლებიც გამოდიან საფრანგეთის დღევანდელ მმართველთა გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

დიუკლომ დაახასიათა საფრანგეთის კომუნისტური პარტია, როგორც „დიადი მასობრივი

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ბოლშევიკურმა პარტიამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მიაღწია მილიონობით გლეხურ მეურნეობათა შემობრუნებას კოლმეურნეობათა გზისაკენ, სოციალიზმის გზისაკენ. ეს იყო, აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, რევოლუცია, რომელმაც აღმოფხვრა ძველი, ბურჟუაზიული სამეურნეო წყობა სოფლად და შექმნა ახალი, სოციალისტური წყობა.

სსრ კავშირში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ უჩვენა მთელი მსოფლიოს გლეხობას, რომელიც დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენს, გაღატაკებისა და კულაკური კაბალისაგან ხსნის ერთადერთი გზა. ამ გზას, საბჭოთა გლეხობის მაგალითის მიხედვით, დაადგნენ მშრომელ გლეხთა მასები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

სოციალიზმის აშენების ამოცანას ლენინი განუყრელად აკავშირებდა კულტურული რევოლუციის განხორციელებასთან. კულტურული მშენებლობის საკითხებს, განათლების, მეცნიერების, ხელოვნების განვითარებას იგი უდიდეს ყურადღებას აქცევდა. სტატიებში „დღიურის ფურცლები", „უმჯობესია ცოტა, მაგრამ უკეთესი" და სხვა ნაშრომებში ლენინი აღნიშნავდა, რომ უფართოესი მასებისათვის კულტურის შეთვისება სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

„...ჩვენში, — წერდა ლენინი, — პოლიტიკური და სოციალური გადატრიალება იმ კულტურული გადატრიალების, იმ კულტურული რევოლუციის წინამორბედი აღმოჩნდა, რომლის წინაშეც ჩვენ ახლა მაინც ვდგავართ.

ჩვენთვის ახლა საკმარისია ეს კულტურული რევოლუცია იმისათვის, რომ სავსებით სოციალისტური ქვეყანა აღმოვჩნდეთ..." (გვ. 435).

სოციალისტური მშენებლობის წლებში ბოლშევიკურმა პარტიამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით განახორციელა უღრმესი კულტურული რევოლუცია, რის შედეგადაც ჩვენი სამშობლო გადაიქცა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყნად, მოწინავე მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის ცენტრად. ამჟამად, სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პერიოდში, პარტია წარმატებით წყვეტს ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ამოცანას—კულტურული და განათლებული გავხადოთ ყველა მუშა და ყველა გლეხი. პარტია სულ უფრო ფართოდ აჩაღებს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას.

პარტიის იდეოლოგიური მუშაობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ტომში შესულ ლენინის სტატიას „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ". ამ კლასიკურ ნაშრომში ლენინი მოითხოვს ვაწარმოოთ შეურიგებელი ბრძოლა რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ყველა სახის იდეალიზმის წინააღმდეგ, დაუღალავად ვამხილოთ ყველა თანამედროვე „დიპლომიანი ლაქია ხუცობისა".

ლენინი ამხილებდა, თუ რაოდენ ყალბია ბურჟუაზიული დემოკრატია, განსაკუთრებით ამერიკული დემოკრატია, „რომელიც „სხვა არაფერია, თუ არ თავისუფლება — იქადაგონ ის, რის ქადაგებაც ხელსაყრელია ბურჟუაზიისათვის, ხოლო მისთვის ხელსაყრელია ქადაგება ყველაზე რეაქციული იდეებისა, რელიგიისა, ბნელეთისმოციქულობისა, ექსპლოატატორთა დაცვისა და სხვ.". (გვ. 206)

ლენინის ამ სიტყვებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად, როცა ამერიკის შეერთებული შტატები გადაიქცნენ მსოფლიო რეაქციის ცენტრად, ფაშიზმის ყველაზე მტარვალური კაცთმოძულეობითი იდეების, მხეცური შოვინიზმის, ბნელეთისმოციქულობის გამავრცელებლად, ახალი მსოფლიო ომის თავაშვებული პროპაგანდის კერად.

მებრძოლ მატერიალისტთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა, აღნიშნავდა ლენინი, ის არის, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან გააშუქონ ბუნებისმეტყველების უახლესი მიღწევები, კვლავაც ყოველმხრივ განავითარონ მატერიალისტური დიალექტიკა როგორც ერთადერთი მეცნიერული მეთოდი.

თანმიმდევრულად ავითარებდა და ახორციელებდა რა ლენინურ იდეებს, ამხანაგმა სტალინმა მარქსისტულ-ლენინური თეორია, პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობა აიყვანა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. ამხანაგ სტალინის მზრუნველობის მეოხებით საბჭოთა მეცნიერების ყველა დარგმა მიიღო თავისი აყვავების უფართოესი შესაძლებლობანი. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ამხანაგ სტალინის მითითებათა საფუძველზე, უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა დისკუსიებმა ფილოსოფიის, ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ენათმეცნიერების საკითხებზე უდიდესი როლი შეასრულეს რეაქციულ მეტაფიზიკურ და იდეალისტურ შეხედულებებთან ბრძოლაში, საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში. ი. ბ. სტალინის გენიალური შრომა „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები", რომელიც წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში შეტანილ შესანიშნავ განძს, ფართო ასპარეზს უქმნის საბჭოთა მეცნიერებს ჩვენი სახელმწიფოს წინაშე მდგომი ახალი ამოცანების გადაწყვეტაში.

3.

ტომში მოთავსებული ნაწარმოებები გვიჩვენებენ, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შემუშავებას, საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელიც ახორციელებდა კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში სოციალისტური მშენებლობის პროგრამას.

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების დამუშავებისას ლენინი ემყარებოდა ორი სისტემის — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას. საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში 1921 წლის დეკემბერში ლენინი ამბობდა:

„მაგრამ საერთოდ განა შესაძლებელია ისეთი რამ, რომ სოციალისტური რესპუბლიკა არსებობდეს კაპიტალისტურ გარემოცვაში? ეს წარმოუდგენელი იყო პოლიტიკურადაც და სამხედრო თვალსაზრისითაც. ეს რომ შესაძლებელია პოლიტიკურადაც და სამხედრო თვალსაზრისითაც, ეს უკვე დამტკიცებულია, ეს უკვე ფაქტია" (გვ. 126).

ლენინმა აგრეთვე გვიჩვენა, რომ არსებობს ყველა შესაძლებლობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიანი თანამშრომლობისა ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის დარგში. ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის ლენინური დებულება განსაზღვრავდა და განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას.

„პირველად აზრი ორი სისტემის თანამშრომლობის შესახებ ლენინმა გამოთქვა, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი. — ლენინი ჩვენი მასწავლებელია, ჩვენ კი, საბჭოთა ადამიანები, ლენინის მოწაფეები ვართ. ჩვენ არასოდეს არ გადავუხვევია ლენინის მითითებებისათვის და არც გადავუხვევთ".

საბჭოთა ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის მიზანს ლენინი საბჭოთა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაცვაში ხედავდა, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის საფუძველი ყოველთვის იყო და არის მშვიდობისათვის, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის ბრძოლა. „... ჩვენ, — ამბობდა ლენინი, — მთელი ძალებით დავიცავთ შემდგომში მშვიდობას..." (გვ. 123). ისწრაფვის რა ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი დიპლომატიური, ეკონომიური, სავაჭრო ურთიერთობისაკენ, საბჭოთა სახელმწიფო, აღნიშნავდა ლენინი, ამასთან ერთად გადაჭრით იცავს ყველაფერში თანასწორუფლებიანობის პრინციპს და არ დაუშვებს თავისი უფლებების, ინტერესების ოდნავ შელახვას.

ლენინი მუდამ მოგვაგონებდა, რომ ჩვენ გარშემორტყმული ვართ მტრული იმპერიალისტური სახელმწიფოებით, რომ ჩვენ ყოველთვის მოგველის მათი შემოსევა. ამიტომ, აღნიშნავდა იგი, ჩვენ ყოველთვის ფხიზლად უნდა ვიყოთ, თვალისჩინივით დავიცვათ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და ჩვენი წითელი არმია.

პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ლენინს მიაჩნდა იმ საიდუმლოების განუწყვეტელი მხილება, რომელშიც ომი წარმოიშვება, ფართო მასებისათვის იმის განმარტება, რომ ომები თვით იმპერიალიზმის ბუნებაშია. თავის სტატიაში „ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის" ლენინი წერდა:

„იმპერიალისტური ომების, საფინანსო კაპიტალის იმ საერთაშორისო პოლიტიკის საკითხი, რომელიც ამჟამად გაბატონებულია მთელ მსოფლიოში და რომელიც **გარდუვალად** წარმოშობს ახალ იმპერიალისტურ ომებს, გარდუვალად წარმოშობს ეროვნული ჩაგვრის, ძარცვის, ავაზაკობის, ერთი მუჭა „მოწინავე" სახელმწიფოების მიერ სუსტ, ჩამორჩენილ, მცირე ეროვნებათა ჩახშობის უმაგალითო გაძლიერებას, — ეს საკითხი 1914 წლიდან დედამიწის ყველა ქვეყნის მთელი პოლიტიკის მთავარი საკითხი გახდა. ეს ათეულ მილიონობით ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია" (გვ. 33).

რა ძალით გაისმის ლენინის ეს სიტყვები ამჟამად, როცა ასეულ მილიონობით ადამიანი აქტიურად იბრძვის ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის! მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესი წარმოადგენდა ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისათვის ორგანიზებული საერთაშორისო მოძრაობის ისტორიაში უმაგალითო განსახიერებას.

ლენინის მითითებებს სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის შესახებ თანმიმდევრულად ახორციელებს საბჭოთა სახელმწიფო. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი სახელმწიფო გადაიქცა სერიოზულ ძალად, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარებაზე და ცვლის ამ ვითარებას მშრომელთა ინტერესებისათვის. საბჭოთა კავშირს არაერთხელ დაუმტკიცებია იმპერიალისტ მტაცებლებისათვის, რომ მისი მშვიდობისმოყვარე პოლიტიკა სისუსტის ნიშანი კი არ არის, არამედ მისი ძლიერების მაჩვენებელია.

მსოფლიო კომუნიზმის ბელადი ვ. ი. ლენინი მთელ რიგ თავის გამოსვლებში ცხადყოფს რუსეთის რევოლუციის გამოცდილების საერთაშორისო მნიშვნელობას, განსაზღვრავს კომუნისტური პარტიების ამოცანებს, აშუქებს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარების პერსპექტივებს.

ლენინი გულდასმით ადევნებდა თვალყურს ყველა ქვეყანაში კომუნისტური პარტიების ზრდასა და განმტკიცებას. მან დასახა საფუძვლები ერთიანი ფრონტის ტაქტიკისა, რომელსაც უნდა ახორციელებდნენ თავიანთ მუშაობაში კომპარტიები, რათა მიიმხრონ მასები, დარაზმონ ისინი რევოლუციური ბრძოლისათვის. გავწიოთ ყოველდღიური მუშაობა მასებში, შევაღწიოთ ყველა მასობრივ ორგანიზაციაში, უზრუნველვყოთ რიგითს პატიოსან მუშა სოციალისტებთან მოქმედების ერთიანობა — ეს ამოცანები ლენინს უმნიშვნელოვანეს ამოცანებად მიაჩნდა კომპარტიების მუშაობაში. იგი უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ „მთელ მსოფლიოში კომუნისტური მოძრაობა იზრდება... სოლიდურად, მტკიცედ, ფართოდ, ღრმად" (გვ. 234).

განვლილი წლების მანძილზე კომუნისტურმა მოძრაობამ მთელ მსოფლიოში გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ და მძლავრ ძალად გადაიქცა. მეტ წილ ქვეყნებში გაიზარდნენ მებრძოლი, მასობრივი კომუნისტური პარტიები, რომლებიც მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლების ავანგარდში, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მილიონიანი მასების ბრძოლის სათავეში დგანან.

ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთში რევოლუციის გამარჯვების გავლენით უმაგალითოდ სწრაფად იღვიძებენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სულ უფრო ფართო მასები, რომლებიც ირაზმებიან რევოლუციური ბრძოლებისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, პროლეტარიატის მომავალი გამარჯვების უდიდესი რწმენით. ლენინი წერდა:

„იმპერიალისტურ ომს, იმპერიალისტურ სამყაროს დედამიწაზე **პირველი ასეული მილიონი ადამიანი გამოგლიჯა პირველმა ბოლშევიკურმა რევოლუციამ.** შემდგომი რევოლუციები ასეთ ომებს და ასეთ სამყაროს მთელ კაცობრიობას გამოგლეჯენ" (გვ. 35).

ლენინის ეს სიტყვები ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმპერიალისტურ სისტემას გამოაკლდნენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები, სადაც დამკვიდრდა სახალხო-დემოკრატიული წყობილება. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელნი, სწავლობენ რა საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილებას, კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით აშენებენ

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# საფრანგეთის კომუნისტური პარტიის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება პარიზში

(დასასრული)

პარტია", პარტია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს ინტელიგენციას, მუშებს, მეცნიერებს, მხატვრებს, პოეტებსა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლებს.

„ჩვენს პარტიას, — განაგრძო მან, — აღაფრთოვანებს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრება. იგი ამავე დროს საფრანგეთის პარტია და საერთაშორისო პროლეტარიატის პარტიაა.

მას შემდეგ, რაც იგი იბრძოდა კომუნისტური ინტერნაციონალის დროშით, ინტერნაციონალისა, რომელმაც შეასრულა თავისი ისტორიული მისია, ჩვენი პარტია შედის კომუნისტური და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიუროში იმის სრული შეგნებით, რომ ასრულებს თავის საერთაშორისო მოვალეობას.

ჩვენი პარტია პატიოსნების პარტიაა, რომლის წევრებიც თავისი მოვალეობის ერთგული არიან და არასოდეს არ ყოფილან ჩარეულნი არავითარ სკანდალურ გარიგებაში, როგორც ბევრი სხვა პოლიტიკური მოღვაწე.

ჩვენი პარტია მუშათა კლასის საქმისა და ხალხის საქმის ერთგულების პარტიაა..."

თავისი სიტყვის დასასრულს დიუკლომ განსაზღვრა იმ მთავრობის ძირითადი ნიშნები, რომელიც ჭეშმარიტად საფრანგეთის მთავრობა იქნებოდა, რომელიც საფრანგეთის პოლიტიკას, მშვიდობის პოლიტიკას განახორციელებდა როგორც საფრანგეთში, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ეს მთავრობა უნდა იბრძოდეს:

ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახის იარაღის აბსოლუტური აკრძალვისათვის;

კორეის ტერიტორიიდან უცხოეთის ჯარების გაყვანისა და უწინარეს ყოვლისა კორეიდან საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის გამოწვევისათვის;

ვიეტნამიდან საფრანგეთში საექსპედიციო კორპუსის დაბრუნებისა და ხო ში მინის მთავრობასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის;

გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ, პოტსდამის გადაწყვეტილებათა მტკიცედ დაცვისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მუხლების დაცვისათვის, რაც უშიშროებისა და მშვიდობის საიმედო საწინდარია საფრანგეთისათვის;

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებისათვის.

ჟაკ დიუკლომ მოუწოდა ყველა ხალხისა და დემოკრატიული ძალების გაერთიანებისაკენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. მან თავისი სიტყვა დაამთავრა მოწოდებებით საფრანგეთის კომპარტიის პატივსაცემად, რომელსაც მორის ტორეზი ხელმძღვანელობს, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უძლეველი მოძღვრების პატივსაცემად, მუშათა კლასის ერთიანობის პატივსაცემად, „მშვიდობის ხსნისათვის ყველა ფრანგისა და ფრანგი ქალის კავშირის" პატივსაცემად, მოწოდებით საფრანგეთში ეროვნულ და დემოკრატიულ ძალთა ერთიანობას მთავრობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და მშვიდობის მთავრობის შექმნის სასარგებლოდ!

შემდეგ დიუკლომ წარმოთქვა:

გაუმარჯოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას — უშიშროებისა და მშვიდობის საწინდარს!

გაუმარჯოს თავისუფალ, ძლიერ და ბედნიერ საფრანგეთს, როგორიც კომუნისტებს სურთ იგი გახადონ!

გაუმარჯოს მშვიდობას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადსა და მასწავლებელს—დიდ სტალინს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

კრებაზე გამოცხადებულ იქნა, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის 30-ე წლისთავის აღსანიშნავად კომპარტიის სენის დეპარტამენტის ფედერაციაში მიღებულია 1.206 ახალი წევრი.

---

# ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს ბრძანება

**პეკინი,** 28 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელმწიფო ადმინისტრაციულმა საბჭომ მიიღო ღონისძიებანი ამერიკის მთავრობის აგრესიული და მტრული აქტების წინააღმდეგ და დღეს გამოსცა შემდეგი ბრძანება:

1950 წლის 16 დეკემბერს შეერთებული შტატების მთავრობამ გამოაცხადა, რომ აწესებს კონტროლს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო და კერძო აქტივებისადმი იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მის იურისდიქციაში იმყოფებიან, და შეერთებულ შტატებში რეგისტრირებულ ყველა გემს აუკრძალა ჩინეთის ნავსადგურებში შესვლა. ჩვენს ტაივანზე შეიარაღებული შეჭრის, ჩვენი ჩრდილო-აღმოსავლეთი ჩინეთის დაბომბვისა და ჩვენი სავაჭრო გემებისათვის სროლის აქტების შემდეგ მან ეკონომიურ სფეროში სცადა ხელში ჩაეგდო ჩინელი ხალხის აქტივები.

ჩინეთის წინააღმდეგ შეერთებული შტატების მთავრობის ამ სულ უფრო მზარდი აგრესიული და მტრული მოქმედების გამო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა იმისათვის, რომ საშუალება არ მისცეს შეერთებული შტატების მთავრობას განახორციელოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის ძირს გამოთხრა და ჩვენი ხალხის ინტერესებისათვის საფრთხის შექმნა, იღებს შემდეგ ღონისძიებებს:

1. შეერთებული შტატების მთავრობისა და ამერიკის საწარმოთა ყველა აქტივი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაუყოვნებლივ უნდა გადავიდეს სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების კონტროლში. უნდა განხორციელდეს აქტივების ინვენტარიზაცია და არ შეიძლება მათი გადაგზავნა და გამოყენება, თუ ეს მოწონებულ არ იქნა ხელისუფალთა მიერ (სამხედრო-ადმინისტრაციული კომიტეტების მიერ—დიდ ადმინისტრაციულ რაიონებში და სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს საფინანსო-ეკონომიური კომიტეტის მიერ—პროვინციებში) ქალაქებში (რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან ცენტრალურ სახალხო მთავრობას).

მფლობელი თუ პირი, რომლის განკარგულებაშია ზემოაღნიშნული აქტივები, პასუხისმგებელია მათი დაცვისათვის. არ შეიძლება ამ აქტივებისათვის ზიანის მიყენება.

2. ამერიკის მთავრობისა და ყველა კერძო ანაბარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ბანკებში დაუყოვნებლივ უნდა დაედოს ყადაღა. იმ სახსრების მისაღებად, რომლებიც საჭიროა კანონიერი საქმიანობის გასაწევად და პირადი მოთხოვნილებისათვის, აუცილებელია ადგილობრივი სახალხო ხელისუფლების დასტური. იმ თანხას, რომელიც შეიძლება გამოტანილ იქნას ბანკიდან შემდეგში დააწესებს სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს საფინანსო-ეკონომიური კომიტეტი.

ეს ბრძანება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

---

# კორეის ამბები

## სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 28 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 28 დეკემბერს გამოაცხადა:

სახალხო არმიის ნაწილები ფრონტის ყველა უბანზე განაგრძობდნენ შეტევას ამერიკელთა და სამხრეთკორეელთა ჯარების წინააღმდეგ.

## განთავისუფლებულ ფხენიანში

**ფხენიანი,** 28 დეკემბერი. (საკდესი). ფხენიანში მუშაობა განაახლეს მთელმა რიგმა დემოკრატიულმა და კულტურულმა დაწესებულებებმა. გამოდის გაზეთები „ინმინბო", „ნოდონ სინმუნი". დამთავრდა მზადება გაზეთ „მინდიუჩენბოსა" და სხვა გაზეთების გამოსაცემად. გაიხსნა წიგნის მაღაზია.

პირველი იანვრიდან გაიხსნება თეატრი და ორი კინოთეატრი. მიმდინარეობს ქალაქის პარკების აღდგენა.

## რას სჩადიოდნენ ინტერვენტები ჩრდილოეთ კორეაში

**ნიუ-იორკი,** 28 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთ „დეილი კომპასში" მოთავსებულ სტატიაში ოვერსის ნიუსის სააგენტოს კორესპონდენტი მარტინი აცხადებს, რომ სამხრეთკორეელები ჩრდილოეთ კორეას ისე უყურებდნენ, როგორც დაპყრობილ ტერიტორიას, რომელიც უნდა გაიძარცვოს. სამხრეთკორეელი ოფიცრები ფხენიანის მოსახლეობას ართმევდნენ ბრინჯს, რომ შემდეგ იგი სეულში შავ ბაზარზე გაეყიდათ და დიდი მოგება მიეღოთ. ინტერვენტთა ჯარები, რომლებმაც ფხენიანი დაიპყრეს, ეწეოდნენ მკვლელობას, ცეცხლის წაკიდებასა და ძარცვას უდიდესი მასშტაბით.

## კორეაში სამოქალაქო ომის გამჩაღებელთა მამხილებელი დოკუმენტები და მასალები

**პეკინი,** 28 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოსცა წიგნი—„კორეაში სამოქალაქო ომის გამჩაღებელთა მამხილებელი დოკუმენტები და მასალები".

წიგნი შეიცავს კორეაში ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი მარიონეტის ლი სინ მანის მიერ ომის გაჩაღების უდავოდ დამამტკიცებელ საბუთებს. წიგნში გამოქვეყნებულია 39 უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომლებიც ლისინმანელებს წაართვეს.

## საომარი მოქმედება ვიეტნამში

**ლონდონი,** 28 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს საფრანგეთის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლის განცხადებას, რომ საფრანგეთის ჯარებმა უკან დაიხიეს ბინ-ლიედან, ფრანგთა ერთ-ერთი უკანასკნელი გამაგრებული პუნქტიდან, რომელიც ვიეტნამ-ჩინეთის საზღვრის მახლობლად მდებარეობს.

საფრანგეთის ჯარებმა უკან დაიხიეს აგრეთვე შო-სონიდან, გამაგრებული პუნქტიდან, რომელიც წითელი მდინარის დელტის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში მდებარეობს.

---

# მშვიდობისათვის, გერმანიის ერთიანობისათვის!

## გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების მოწოდება პროფკავშირთა წევრებისადმი

**ბერლინი,** 28 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების ცენტრალურმა გამგეობამ პროფკავშირთა ყველა წევრს მიმართა მოწოდებით, რომელშიც ნათქვამია:

1950 წელი აღინიშნა მშვიდობის მსოფლიო ბანაკის ძალების შემდგომი ზრდით, ბანაკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს. ისტორიაში პირველად არსებობს მშვიდობის ორგანიზებული ბანაკი, რომელიც 800 მილიონ კაცს აერთიანებს.

გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების გამგეობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ომის ამერიკელი გამჩაღებელნი აფართოებენ მოქმედებას ახალი ომის გასაჩაღებლად. დამარცხდნენ რა კორეაში, ომის ამერიკელი გამჩაღებლები გულმოდგინედ ცდილობენ გადააქციონ დასავლეთი გერმანია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომის პლაცდარმად. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის ღონისძიებანი პირველ ნაბიჯს წარმოადგენენ ამ მიმართულებით.

იმპერიალისტების აშკარა საომარმა მზადებამ დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში, ნათქვამია მოწოდებაში, გამოიწვია გერმანელი მშრომელების და, კერძოდ, გერმანელი ახალგაზრდობის ფართო პროტესტი და ეროვნული წინააღმდეგობის ზრდა.

ბრიუსელის თათბირზე გერმანელი ხალხის სურვილის წინააღმდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ დასავლეთ გერმანიაში შეიქმნას დაქირავებული არმია და საავიაციო შენაერთები ამერიკელთა სარდლობით. ეს გადაწყვეტილება კვლავ გვიჩვენებს, რამდენ სერიოზულია ომის საფრთხე და პროფკავშირთა ყველა წევრს ავალებს გააძლიერონ წინააღმდეგობა ომის გამჩაღებელთა გეგმებისადმი, უფრო ფართოდ ჩააბან მშრომელთა მასები მშვიდობისათვის ბრძოლაში და უფრო მტკიცედ განახორციელონ ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციასა და გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანებას შორის დადებული შეთანხმებიდან.

ბრიუსელის თათბირზე მიღებული გადაწყვეტილებანი, ნათქვამია მოწოდებაში, მშრომელთ აკისრებენ ახალ ტვირთს გადასახადებისა და ფასების გადიდების, ხელფასის შემცირებისა და მათი დემოკრატიული უფლებების შემდგომი შეზღუდვის შედეგად.

ეს გადაწყვეტილებები ეხება ყველა მშრომელს განურჩევლად მათი მსოფლმხედველობისა და პარტიული კუთვნილებისა. ამიტომ ყველა საწარმოში უნდა გაფართოვდეს მოძრაობა იმის სასარგებლოდ, რომ დამყარდეს ერთიანი ფრონტი სოციალ-დემოკრატი, კომუნისტი და ქრისტიან-დემოკრატთა კავშირის წევრი მუშებისა, მიუხედავად იმისა, ორგანიზებული არიან ისინი პროფკავშირებში თუ არა, რვა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადება პრაღაში და პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლის წერილი ბონის კანცლერ ადენაუერისადმი გვიჩვენებენ, თუ რა გზას უნდა დაადგნენ გერმანელი მშრომელები, რათა თავიდან აიცილონ ომის საფრთხე და მიაღწიონ ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის შექმნას.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხაზგასმით არის აღნიშნული მოწოდებაში, განმტკიცდა ხელისუფლების დემოკრატიული ორგანოები და განუხრელად ვითარდება მშვიდობიანი დროის ეკონომიკა. შრომის უფლებამ, საწარმოთა მართვაში მონაწილეობის უფლებამ და ქალთათვის მამაკაცების თანაბარ უფლებათა უზრუნველყოფამ გამოხატულება ჰპოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობით.

წარმოების მოწინავეთა მოძრაობის შემდგომი განვითარების შედეგად, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ორწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის „საარსებო დონე და შეიქმნა უფრო გრანდიოზული ამოცანების წარმატებით გადაჭრის საფუძვლები.

ხუთწლიანი გეგმა, რომლის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მესამე ყრილობაზე, იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო, და უჩვენებს მთელ გერმანელ ხალხს, თუ როგორ შეიძლება საკუთარი ძალებით ააშენოს კრიზისებისაგან თავისუფალი მეურნეობა და მიაღწიოს ხალხის მასების კეთილდღეობის განუწყვეტელ გაუმჯობესებას.

გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების ცენტრალური გამგეობა მოუწოდებს პროფკავშირთა ყველა წევრს გააორკეცონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისაკენ მიმართული ღონისძიებანი.

„ახალ წელს თან მოაქვს ახალი ამოცანები,— ნათქვამია მოწოდებაში.—წინ მშვიდობის შენარჩუნების, გერმანიის ერთიანობის აღდგენისა და ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში".

## მდგომარეობა ინდონეზიაში

**ჰააგა,** 27 დეკემბერი. (საკდესი). ანპ-ის სააგენტო ჯაკარტიდან იუწყება, რომ ამ ქალაქის ქუჩებში სროლა წარმოებს ჰოლანდიის კოლონიურ ჯარებსა და ინდონეზიელებს შორის.

შემდეგ იუწყებიან, რომ ინდონეზიელებსა და ჰოლანდიის კოლონიურ ჯარებს შორის ბრძოლების შედეგად ქალაქი ამბოინა დანგრეულია 80 პროცენტით.

## ჩინელ მეშახტეთა საწარმოო შეჯიბრება

**შანხაი,** 27 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „ძეფანჟიბაო" წერს, რომ ძიულუნგანის ქვანახშირის მაღაროს მეშახტეებმა ანხუეის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ამას წინათ გააჩაღეს საწარმოო შეჯიბრება, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვანახშირის ამოღება. თუ წინათ ქვანახშირის ყოველდღიური ამოღება საშუალოდ 300 ტონას შეადგენდა, ამჟამად მეშახტეები ყოველდღიურად 809 ტონამდე ქვანახშირს იღებენ.

## ფილმ „განთავისუფლებული ჩინეთის" დადგმის გამო

**პეკინი,** 26 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ საპატიო სიგელით დააჯილდოვა საბჭოთა კინორეჟისორი ს. ა. გერასიმოვი ფერადი ფილმის „განთავისუფლებული ჩინეთის" დადგმისათვის.

გამოვიდა რა ფილმის გამოშვების გამო გამართულ მიტინგზე, პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ თქვა, რომ ახალი ფილმი წარმოადგენს ძვირფას წვლილს მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის განმტკიცების საქმეში და ჩინელ ხალხსა და სხვა ქვეყნების ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ისე როგორც ფილმისათვის „ჩინელი ხალხის გამარჯვება", თქვა ჯოუ ენ-ლაიმ, ჩვენ მადლობელი ვართ დიდი სტალინისა, ჩინელი ხალხის ყველაზე მახლობელი მეგობრისა ფილმ „განთავისუფლებული ჩინეთის" გამოშვებისათვის. სწორედ ამხანაგმა სტალინმა მოგვცა წინადადება შეგვექმნა ეს ორი ფილმი და ჩინეთში გამოგზავნა საბჭოთა კინემატოგრაფიის შესანიშნავი მუშაკები ამ ფილმების წარმოების ხელმძღვანელობისათვის... ეს ფილმები წარმოადგენენ ჩინელი და საბჭოთა ხალხების დიადი მეგობრობის სიმბოლოს.

---

# ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ივანე თევდორეს-ძე თევოსიანი დანიშნა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრად.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. პეტრე თადეოზის-ძე ლომაკო დანიშნა სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის მინისტრად.

* * *

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამხ. ანატოლი ნიკოლოზის-ძე კუზმინი დანიშნა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის პირველ მოადგილედ.

* * *

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამხ. ივანე ვასილის-ძე არხიპოვი დანიშნა სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის მინისტრის პირველ მოადგილედ.

## ლ ე ქ ც ი ა

31 დეკემბერს, დღის 1-ლ საათზე, საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო სხდომაზე საზოგადოების წევრი დოცენტი გ. ზარდალიშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „კორეა".

მოხსენების შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოფილმი: „ჩრდილოეთ კორეა".

მოხსენება შედგება გეოგრაფიული საზოგადოების შენობაში (კეცხოველის ქ. № 1). დასწრება თავისუფალია.

## დ ღ ე ს თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

**ოპერისა და ბალეტის**—„გორდა" (მე-12 აბ.); **რუსთაველის სახელობის** — „პირველი ნაბიჯი"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „მე-12 ღამე"; **გრიბოედოვის სახელობის** — „ცოცხალი ლეში" (20-ე აბ.); **სომხური დრამის**—„საიათნოვა"; **მუსიკალური კომედიის**—„არსენა ოძელაშვილი" (ფილარმონიის საზამთრო თეატრის შენობაში); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „შინ დაბრუნება მინდა" (30-ე აბ. 11 საათზე), „ნათელი გზა" (მე-7 აბ. 7 საათზე, პრემიერა); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ვორობიოვის მთები" (42-ე აბ. 11 საათზე, 36-ე აბ. 5 საათზე); **სანკულტურის**—„მეც ვხედავ"; **თოჯინების ქართული**—„თოვლის პაპა" (10 საათზე); **სახელმწიფო ცირკი**—დიდი საცირკო წარმოდგენა.

## დ ღ ე ს კ ი ნ ო ე ბ შ ი

**რუსთაველის სახელობის**—„სიყვარულის წამალი"; **„ოქტომბერი"** — „უკანასკნელი რაუნდი"; **„ამირანი"**—„ცამეტნი"; **„თბილისი"** — „მოკრივენი" (დღისით), „დუნაის შვილი" (საღამოს); **„სპარტაკი"**—„მოუხელებელი იანი"; **„კომკავშირელი"**—„ვენელი ქალიშვილები"; **26 კომისრის სახელობის**—„მათ აქვთ სამშობლო" (დღისით), „მუსიკალური ისტორია" (საღამოს); **„კოლმეურნე"**—„ორი მებრძოლი" (დღისით), „ჯამბაზები" (საღამოს); **„დიდუბე"**—„მუსორგსკი".

## გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორს

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გულწრფელი და დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ორგანიზაციასა და პირს, რომლებმაც აღნიშნეს ჩემი დაბადების ოთხმოცი წლისთავი, სამეცნიერო მოღვაწეობის სამოცი წლისთავი და მთავრობის მაღალი ჯილდოს მიღება.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი ვ. ვორონინი**

26-XII. 1950.

---

**პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი**

---

# ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეცამეტე ტომი

(დასასრული)

სოციალისტურ საზოგადოებას. ლენინისა და სტალინის ნაწარმოებებით სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მუშათა კლასი სწავლობს გამარჯვებული პროლეტარიატის სწორი პოლიტიკის განხორციელებას კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის პირობებში.

მთელ მსოფლიოში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აღმოსავლეთის ხალხების მზარდ რევოლუციურ ბრძოლას.

„ბრძოლის შედეგი, — წერდა ლენინი, — საბოლოო ანგარიშით, დამოკიდებულია იმაზე, რომ რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვა შეადგენენ მოსახლეობის გიგანტურ უმრავლესობას. და სწორედ მოსახლეობის ეს უმრავლესობა ებმება არაჩვეულებრივი სისწრაფით ამ უკანასკნელი წლების მანძილზე თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ასე რომ ამ თვალსაზრისით არ შეიძლება თუნდაც ოდნავი ეჭვი ვიქონიოთ, თუ როგორი იქნება მსოფლიო ბრძოლის საბოლოო შედეგი. ამ თვალსაზრისით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება სავსებით და აუცილებლად უზრუნველყოფილია" (გვ. 458).

ჩინეთში სახალხო რევოლუციის ისტორიული გამარჯვება, აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში რევოლუციური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მძლავრი აღმავლობა სულ უფრო მეტად ადასტურებს ლენინის ამ გენიალურ განჭვრეტას. ჩინელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და ამხანაგ მაო ძე-დუნის მეთაურობით ახალი გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა იმპერიალიზმის სისტემას. ჩინელი ხალხის გამარჯვებამ უფრო მეტად განამტკიცა დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი.

4.

ლენინს უდიდესი რწმენა ჰქონდა მუშათა კლასის, ბოლშევიკური პარტიის დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალების და რევოლუციური ენერგიისა. იგი სიამაყით ლაპარაკობდა იმ ამოცანების სიდიადეზე, რომლებიც ისტორიამ კომუნისტურ პარტიას დააკისრა.

„... ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ, —წერდა ლენინი, — და ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ წილად გვხვდა ბედნიერება **დაგვეწყო** საბჭოთა სახელმწიფოს აშენება, **დაგვეწყო** ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, იმ **ახალი** კლასის ბატონობის ეპოქა, რომელიც ჩაგრულია ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში და რომელიც ყველგან მიდის ახალი ცხოვრებისაკენ, ბურჟუაზიაზე გამარჯვებისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, კაპიტალის უღლისაგან, იმპერიალისტური ომებისაგან კაცობრიობის ხსნისაკენ" (გვ. 32-33).

ბოლშევიკური პარტია რევოლუციის გენიოსების ლენინისა და სტალინის მიერ სავსებით მომზადებული იყო ამ მსოფლიო-ისტორიული ამოცანების გადასაწყვეტად. ლენინმა და სტალინმა შექმნეს, რევოლუციური ბრძოლების ცეცხლში, სოციალიზმის მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლაში გამოაწრთეს და იდეურად შეაიარაღეს ბოლშევიკური პარტია.

ლენინი განსაკუთრებით ზრუნავდა პარტიის რიგების ერთიანობისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოში მისი ხელმძღვანელი როლის ამაღლებისათვის. ტომში მოთავსებული ნაწარმოებები გვიჩვენებენ, თუ რა შეურიგებლობითა და სიმტკიცით ამხილებდა და ანადგურებდა ლენინი ტროცკისტებსა და პარტიის სხვა მტრებს, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეშალათ სოციალიზმის მშენებლობა და დაეყენებინათ ჩვენი ქვეყანა კაპიტალიზმის რესტავრაციის გზაზე. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ გაანადგურა პანიკიორები და კაპიტულანტები, გაწმინდა თავისი რიგები მერყევი და მტრული ელემენტებისაგან და გარდაქმნა თავისი რიგები სოციალისტური მშენებლობის ახალი რთული ამოცანების გადასაწყვეტად.

ლენინი დაულალავად ზრუნავდა პარტიის, როგორც მასების ავანგარდის, როგორც სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელი ძალის, როლის ამაღლებისათვის. იგი პარტიას მოუწოდებდა გაეფართოებინა და განემტკიცებინა კავშირი მასებთან. იგი აღნიშნავდა, რომ ავანგარდს მხოლოდ მაშინ შეუძლია შეასრულოს თავისი ამოცანები, თუ იგი არ მოსწყდება მის ხელმძღვანელობაში მყოფ მასებს და წინ გაუძღვება მათ.

ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პარტიის ბრძოლას სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და გარდაქმნისათვის. ნაშრომებში — „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამოცანების, მათი გაგების და მათი შესრულების შესახებ", „როგორ გარდავქმნათ მუშათა და გლეხთა ინსპექცია", „უმჯობესია ცოტა, მაგრამ უკეთესი" და მთელ რიგ სხვა ნაშრომებში ლენინი განსაზღვრავს პარტიის ამოცანებს სახელმწიფო აპარატის განმტკიცების დარგში. მთელი პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობა, აღნიშნავდა ლენინი, უნდა წარმოადგენდეს პროლეტარული ორგანიზებულობისა და დისციპლინის ნიმუშს, საქმიანობასთან რევოლუციური გაქანების შეხამების ნიმუშს. აპარატის მუშაობის გაუმჯობესების მთავარ პირობად ლენინს მიაჩნდა მუშაკთა სწორი შერჩევა და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება. ბოლშევიკური პარტია განუხრელად იცავდა და იცავს ამ ლენინურ მითითებებს.

1922 წლის დეკემბერში საბჭოების სრულიად საკავშირო პირველმა ყრილობამ ლენინისა და სტალინის წინადადებით შექმნა საბჭოთა ხალხების ნებაყოფლობითი სახელმწიფოებრივი გაერთიანება — სსრ კავშირი. ეს იყო ბოლშევიკური პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება, ისტორიული მიჯნა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებაში.

ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფო მტკიცე რწმენით მიდიოდა სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის გზით. საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ ძალას — ბოლშევიკურ პარტიას საბჭოთა ხალხი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავდა.

როცა ლენინის სიცოცხლე შეწყდა, ამხანაგმა სტალინმა მაღლა ასწია ლენინის საბრძოლო დროშა და გაუძღვა პარტიასა და საბჭოთა ხალხს ლენინის დიადი ანდერძის განხორციელების გზაზე. პარტიისა და ხალხის მტრებთან სასტიკ ბრძოლაში ამხანაგმა სტალინმა დაიცვა და განავითარა ლენინის მოძღვრება, დარაზმა პარტია ლენინიზმის დროშის ქვეშ და გამოიყვანა იგი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის ფართო გზაზე. ლენინის დროშით, სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალიზმი, მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში. ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხი შეაიარაღა კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამით.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაწარმოებებით ლენინიზმი შემდგომ განვითარდა ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად. ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიები თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ სწორი კომპასით — მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, მეცნიერებით ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციის შესახებ, ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ.

ამხანაგი სტალინი ასწავლის მშრომელებს ყველაფერში მიბაძონ ლენინს, იყვნენ ისეთივე, როგორიც იყო ლენინი, იბრძოლონ და გაიმარჯვონ ლენინურად.

ლენინის ანდერძის მიხედვით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი იბრძვის და იმარჯვებს, მტკიცედ აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. ლენინ-სტალინის იდეები ყველა ქვეყნის მშრომელთა მძლავრი იარაღია მათს ბრძოლაში მტკიცე მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

(„პრავდა")

---

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი** აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1951 წლის 9 იანვარს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) **შალვა იოსების-ძე მთვარელიძე** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ცეცხლნასროლი მორეციდივე ოსტეომიელიტები და ნარჩენი ოსტეომიელიტური ღრუს მკურნალობა".**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **დ. იოსელიანი,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ი. ტატიშვილი,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **მ. ჩაჩავა.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 10).

მეუღლე სამსონ, შვილი მერი იუწყებიან **პაშა იაკობის ასულ ბოკუჩავა-ბოლქვაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31-XII, 1-I, 8 ს. გამოსვენება 2-I, 4½ ს. მერკვილაძის, 31.

შვილი ნათელა, სიძე არჩილ არეშიძე შვილებით ციმით და ნილათი იუწყებიან **კონსტანტინე ექვთიმეს-ძე ქავჟანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-I, ქუთაისში, კიროვის, 100.

მეუღლე მიხეილ, შვილები ვანიჩკა, საშა, რძალი ოლია, სიძე მიშა, შვილიშვილი აპოლონ იუწყებიან **ხარა ჩიქოვანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 30-XII, 4 ს. ზედაზნის, 5.

მეუღლე პასიკო, შვილები ვარლამ, ოლინკა, ვლადიმერ, თამარ, აკაკი, ნინო, რძლები ელენე, მარიამ, ეკატერინე, სიძე, შ. სვანიძე შვილებით იუწყებიან **ბესარიონ გაბრიელის-ძე ტოგონიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-XII პატრიკეთში.

დედა ელისაბედ, მეუღლე ბაბულია, შვილები იზოლდა, გულნაზი, მანანა, დები ზინა, შურა, სიძე იაშა ემირიანი იუწყებიან **ამბროსი ილარიონის-ძე კიკვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-I, ს. ბუკისციხეში (ჩოხატაურის რაიონი).

დედა ნადია, მამა არჩილ, ძმა ვახტანგ, და მომოზა კუტალიები იუწყებიან, რომ 4-I, 5 ს. ქ. ზუგდიდში დანიშნულია **სოსო არჩილის-ძე კუტალიას** პანაშვიდი.

ძმა ლავრენტი, რძლები ნინო, ქენია, ძმისშვილები კაზანა, ციალა, თამაზ, დისწული ცეცა იუწყებიან **პელო ანდროს ასულ ოდილავაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-XII, 7 ს. გამოსვენება 31-XII, 2 ს. ბრძოლის, 62.

შვილები იულია, ნინო, სიძეები ს. კობრეიძე, ვ. გეგელაშვილი, შვილიშვილი ო. კობრეიძე ოჯახით იუწყებიან **მიხეილ ალექსის-ძე მეხხის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-XII, 8 ს. გამოსვენება 31-XII, 2 ს. კლდიაშვილის 13.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრესტ თბილმომარაგების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვ. სალუქაშვილს მისი მეუღლის **ელენე ჯღამაძის** გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 30-XII, 7 ს. გამოსვენება 31-XII, 3 ს. რუსთაველის, 1.

ზინა და ნესტორ თოიძეები იუწყებიან **გერმანე ანტონის-ძე ჟიბუტის** გარდაცვალებას.

ა. როყვა, ა. ღიბრაძე, მ. გიგინეიშვილი, ბ. ძიგვაშვილი, ა. დარასელია, გ. ბოკერია, ო. გელაშვილი, ა. ზოიძე, ს. ქრისტესაშვილი, ვ. მგალობლიშვილი, ლ. ელიზბარაშვილი, ქ. თევზაძე თანაგრძნობას უცხადებენ შ. ხაჩიძეს მისი დედის **ბარბალე ხაჩიძის** გარდაცვალების გამო.

მშობლები ანიჩკა, ვასო, მეუღლე ნუცა, ძმა გივი, დეიდები ნინო, მარო, ბიძები თ. მეტრეველი, ზ. ჯანანაშვილი, სიძე ს. ქორიძე ოჯახით იუწყებიან, რომ 31-XII, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **შურა ჟამუტაშვილის** პანაშვიდი.

სონია, იულია მეგრელიშვილები, კატო და გრიგოლ შალამბერიძეები იუწყებიან **გერმანე ანტონის-ძე ჟიბუტის** გარდაცვალებას.

თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ორთოპედიისა და აღდგენითი ქირურგიის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თ. ჯღამაძეს მისი დის **ელენე ჯღამაძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3 08 67, სამდივნოსი — 3 06 88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3 81 84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3 57 61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3 80 83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3 80 81, მშრომელთა წერილების — 3 73 24, მორიგისა და გამომშვების — 3 81 65, გამომცემლობისა — 3 51 81, სტამბის დირექტორის — 3 77 70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 18760